

# ნაკადული

# 1997



140/2  
1997

2/5

**ვნასოთ,**

**რას  
მოგვიტანს  
რეფორმა**

ჩვენი სამშობლო XXI საუკუნეში. • სამი თვე ბურგობინაზიში. •  
ანიჰა აზიმოვის შოთსრობა. • „ბალანინის“ ვარსკვლავები. • რა  
არის საკუთარი სტილი? • ბარბი, სინდი და სკვები. • გამოგადგები.



### ნომრის შინაარსი

ჩვენი სამშობლო XXI საუკუნეში .....	1
გიორგი გამსახურდია. ლექსები .....	2
„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო .....	3
სამი თვე ბურგგიმნაზიაში .....	4
აიზეკ აზიმოვი. ერთ მშვენიერ დღეს (მოთხრობა).....	6
მსოფლიო კიდით-კიდემდე .....	11
რატომ ანათებს ციციანათელა? (ბუნების კარი).....	12
„ბალანჩინის“ ვარსკვლავები .....	15
შემოვაქსოვოთ საქართველოს ჯაჭვის პერანგი (მომავალ მეთაურთა სკოლა).....	16
რეკორდების ანუ გინესის წიგნი .....	19
რა არის საკუთარი სტილი?.....	20
ნიშანი ხარისხისა და პატივისანი .....	22
ბარბი, სინდი და სხვები .....	24
კითხვა-თქვენი, პასუხი-ჩვენი .....	26
ნახატებიანი ვიქტორინა .....	27
გამოგადგები .....	28
ვინ რა გამოიგონა .....	29
სიცილის გაკვეთილი .....	30
მოსწონხარ თუ არა ადამიანებს? (ტესტი) .....	31
„მის საქართველო - 97“ .....	32

მთავარი რედაქტორი **მანანა გულაშვილი**  
 რედაქტორის მოადგილე **ქეთევან ცაბაცაძე**  
 პასუხისმგებელი მდივანი **აბრეღ ბუქანიშვილი**

რედაქციის მისამართი: 384096, თბილისი, კოსტავას ქ. №14  
 ტელეფონი: 93-31-81, 93-18-84  
 ფასი სახელშეკრულებო  
 ინდექსი: 76157



# „ჩვენნი სამუშაოები“

ცოტაც და კაცობრობა XXI საუკუნეში შეაბიჯებს, ახალი ათასწლეულიდან შეუდგება ვაშთა აღრიცხვას. როგორი იქნება ჩვენი საქართველო XXI საუკუნეში? მას სიმ ახლა მადიან უჭირს, ვერ გავრთიანებულა, ვერ გამოთლიანებულა, ვერ ჩაუერია მომავალი ძღვევამახილებს მტკიცე საძირკველი. პროგრესის ვზაზე ნაბიჯმდგმული, იქნებ ბორბიციო, წაფორთილებიო, მაგრამ მაინც ბოლომდე ამ ცხით იელის და ძლიერ, თავისუფალ, აუვაუებულ, გემშიარტიად დემოკრატიულ ხასელმწიფოდ ჩამოყალიბდება თუ...

თქვენ როგორ გვინათ, ემაწილებეო, როგორი წარმოედგენიათ ხმამობლო XXI საუკუნეში, როგორი ხედავთ?



XX საუკუნე ძალიან მრავალფეროვანი აღმოჩნდა საქართველოსთვის. ამ ასწლეულმა ძირფესვიანად შეცვალა ქართული ხალხის ისტორია, ტკიბულე მტერი მწარე შესავა მაინც გადაერჩიო, მაინც მოვიტანეთ თავი ამ უდიდესი კარდატების დღევამდე. ფრთებმომხვეურულმა, აფხაზეთმოგლეჯილ მკერდზე დამჩნეული სისხლმდინარი იართი მოაზრია ჩვენმა ქვეყანამ საუკუნის მიწურულამდე...

რამდენიმე წელი და საქართველო შეაბიჯებს ახალ ერაში, XXI საუკუნეში, მისამდე თასანსლულში. მე და ჩემი თაობის ბავშვები ხშირად ვოცნებობთ მომავალ, აღორძინებულ საქართველოზე, ძლიერ, მთლიან სამშობლოზე, მეფერა, ეს დლო შორს არ არის, ოცდამეერთე ასწლეულში საქართველო წელში გამოიბრუნებთ აფხაზეთს, საჩაჩალოს... დავიბრუნებთ ყველაფერს, რაც ნაგავაროვეს ამ ხნის განმეულობაში. ჩვენი ხალხი, რომელმაც უამრავ ომსა და შემოსევას გაუძლო, თასი გაჭირვება გადაიტანა, კვლავაც გულბილად და პატივისცემით შეხვდება ყველას, ვინც მოყვრად ჩამოვა ჩვენს ქვეყანაში. ამუშავდება ფაბრიკა-ქარხნები, მუშაობა გაიადდება მინდრერება და ზერებში, მოვიწვევთ ხორბლის, ხილის, ყურძნის უხე მოსავალს კვლავ მოუტანს ქართველს დიდებას ქართული ღვინო. პატარებნი კვლავ თამაშება გადაშლიან „დადაუნას“. დაიბადება სხვა ილია, სხვა აკაკი, სხვა ვაჟე... აღარასდროს იქნება ომი, შში, ცრემლი, გაჭირვება... აღარ იქნებიან

ჩვენი მიზნორებნი და უპატრონი ბავშვები. სწორედ მაშინ, როცა საქართველო კვლავ დაიბრუნებს თავის სიღამაზეს და სიმაყეს, როცა, ახლგაზრდობას ექნება სწავლის, მუშაობის, გართობის, მოგზაურობის საშუალება და სანატრელი აღარ გვექნება სხვების ყვეოლდობა, დადგება დღე, როცა კუთვლ ქართველს შეეძლება აკაის სიტყვები გაიმეოროს „ამას ველოდი, მოვეწინააღმდეგებოდი, ვინცინი, აღარ ვსტირი მე“.

### ვივა ბატყაშვილი, თბილისის 158-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

ოცდამეერთე საუკუნე - ახალი, ახლისმთქმელი, ახლის დასანახი. ოცდამეერთე საუკუნე - ჩვენი მომავალი... მომავალი, რომელიც ჩვენი ხელებით უნდა ვაშენოთ, მომავალი, რომლის წარსული ისევ ჩვენ ვართ - დღევანდელი ცხოვრება, დღევანდელი ინტერესები, დღევანდელი თვითი. დღევანდელი ლობის მრავალი სატიკივარი მომავალი წარსულს ჩაბარდება და ბუნების მკაცრი კანონების თანახმად, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ჩვენი ერთი ახალი სიროულეების წინ დადგება. სწორედ ჩვენი ძაღლისმეტი უნდა მიიღწეს ჩვენს ქვეყანაში სტაბილური ყოფა, მშვიდობა და ერთობა. თანამედროვე საქართველო ჩვენ თვალწინ არის, მას ჩვენ ვზრდით, ჩვენ ვყრწავთ, მისი ბედნიერება ჩვენი მისია, ჩვენი ამჟვენიერი ვლია. მიქელანჯელოს უთქვამს: „იდე ალური ქანდაკება თვით მარმარილოში, ყოველი მოქანდაკის ვალია გამო-

ავლინოს ის“.

ეს მოქანდაკე ჩვენი თაობაა, ჩვენი საქართველოს დავაყენებთ ბედნიერებისაკენ მიმავალ გზაზე. იდეალური ქანდაკება მე ოცდამეერთე საუკუნეში მესახება.

### ეკა კიკალიშვილი, თბილისის 1 კლასიერი გიმნაზიის X კლასის მოსწავლე.

აი, სადაცა XXI საუკუნეში შევაბიჯებთ, სანატრესოა, უფრო კი მწიშველოვანი, როგორი იქნება საქართველო სულ რაღაც ორიოდე წლის შემდეგ. იქნებ, დადგე საუკუნეში მაინც იყოს ჩვენი სამშობლო ისეთი, როგორიც დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს სურდათ, ისეთი, რომლისთვისაც იბრძოდნენ და როგორიც დაგვიტოვეს. იქნებ ყველაფერი მოწესრიგდეს... იქნებ...

სამწუხაროდ, მე და ჩემს მეგობრებს თითქმის არ გვახსოვს საქართველო აყვედრებული და დალინებულნი, მაგრამ XX საუკუნესთან ერთად ჩვენ ბავშვობასაც გამოვეთხოვეთ და XXI საუკუნეს უკვე 14-15 წლის მოზარდები ვეახლებით და აღბთ ჩემი წარმოდგენა საქართველოს მომავალზე ჩემივე სუროვილების ტოლდასია. სწორედ ამიტომ ხარ, რომ ამასთვის სამი რამაა აუცილებელი: უნდა გვეკვლიოდეს, ვიმროთო და ვიბრძოლო...



თათია საამიშვილი, თბილისის აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის №53 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე



დობა და ერთობა. თანამედროვე საქართველო ჩვენ თვალწინ არის, მას ჩვენ ვზრდით, ჩვენ ვყრწავთ, მისი ბედნიერება ჩვენი მისია, ჩვენი ამჟვენიერი ვლია. მიქელანჯელოს უთქვამს: „იდე ალური ქანდაკება თვით მარმარილოში, ყოველი მოქანდაკის ვალია გამო-

დობა და ერთობა. თანამედროვე საქართველო ჩვენ თვალწინ არის, მას ჩვენ ვზრდით, ჩვენ ვყრწავთ, მისი ბედნიერება ჩვენი მისია, ჩვენი ამჟვენიერი ვლია. მიქელანჯელოს უთქვამს: „იდე ალური ქანდაკება თვით მარმარილოში, ყოველი მოქანდაკის ვალია გამო-

# იქნებ უნდასპობი ვიღაც ბანიცდის

შენ რომ განიცდი, თუ გიჟიქრია,  
იქნებ შენსავით ვიღაც განიცდის,  
წადი მოამბენე, დაავიანებ  
და, გაზაფხულიც აღარ დავიცდის.  
ნუ უსმენ ნატურას და სიამაუეს,  
ეპ, სიამაუემ გრმნობის რა იცის.  
ეური დაუგდე ჩიტების ჭიბჭიკს,  
მისი სახლიდან ხომ არ გაისმის?!  
მე რომ განვიციდი, დაუფიქრებულვარ,  
იქნებ ჩემსავით ვიღაც განიცდის.  
ვერ მიზოვნია, მაინც მოეპებნი,  
თუ გაზაფხული ცოტას დაიცდის.

\* \* \*

დაღამდა, ღამემ მთვარე აღმართა,  
თვალი ჩაუკრა დაღმართს აღმართმა.  
იმ დროს არ ჰკავდა — როს ზაფხულის მზე  
ქვეყანას ცხელი შანთით დაღვდა.  
უკანასკნელი შემოდგომის დღე,  
გაეინულ მთებზე სულს ძლივს დაფავდა,  
ზამთარი ზეიმს დიდით მართავდა,  
გიორგობისთვე ასე დამთავრდა.  
ცივი დრო იყო, ცივი გარემო,  
ცასაც სციოდა, ცას აღარ ჰკავდა,  
ცივად დაღამდა.

\* \* \*

მასსოვს, სარკმელთან მარტო ვიდექი,  
მთები ცურავდნენ ქაბთათა ნისლში.  
თეთრ წუხილს ეპურო ჩემი ფიქრები,  
ძლიერად თოვდა იმ დღეს თბილისში.  
მობეზრდა თოვლი ალბათ შემოქმედს,  
შეყვდა ფიჭუების მიწაზე სოცვა,  
მამადავითზე ზარი შემოჰკრეს  
და გაავრძელა მთაწმინდამ ლოცვა.

## ოთხის ოცი წუთია

ასლა რვა საათია,  
მავრამ, ოთხი წელია  
ვაკის ჰარკის ჰირდაპირ

# ასალი ლექსები

## პირობი გასასურღია

ოთხის ოცი წუთია.  
ეპ, რადაცის იქედით  
მე ვოუვალ დღეს ვითვლიდი  
თუმცა განსაკუთრებით  
გაზაფხულზე გიცდდი.  
დავიღალე ლოდინით,  
ქარის კენესა გაისმა,  
გასროლილი ლოდინით  
ჩამიქროლა მისისმა.

გრმნობამ ამ წლებს ლოკინთან  
ღამეები უთია...  
ვაკის ჰარკთან კი მაინც  
ოთხის ოცი წუთია.

\* \* \*

აცივდა, მთვარე დრუბლებზე დაწვა,  
სისხლმა იფეთქა, სისხლი მომაწვა,  
თოვლი მოვიდა, არა, ქარი სჯობს...  
გულმა კი სისხლში თავი დაიხრჩო.  
მერე არ მასსოვს, რა მოხდა გარეთ,  
იქნებ მზე იყო, ან იყო მთვარე.  
ერთი ტიროდა და ერთს სტიკიოდა,  
მხოლოდ სასთუმალს ჩემსას-სციოდა.  
შენიარ ცოცხალს ალბათ მეკადრი სჯობს,  
— მითხრა გულმა და თავი დაიხრჩო.

## ჩემი თაობა...

ჩამოჰქნარი ფოთოლი, შემოდგომის ნაღველი.  
მწირი ცეცხლის მონობით დაღვენილი სანთელი.  
— აუხდენელ მიხნების თეთრი, მწუხრი ბაღები,  
ბოღვად ქვეულ სინძრების, ნაწამები წამები.  
მხოლოდ ამოცებით ფრთამოჭრილი ოცნება,  
მდგარი განმარტოებით, უიმედო ლოცვებით.  
ამოუცნობ რაობის დაბინდული ნათელი,  
დაკარგული თაობის დამარსული სახელი.

## მს გაზაფხული ალვის ხედ მაქცევს

ეს გაზაფხული, განაბული ალვის ხედ მაქცევს,  
ო... ქარიშხალი არნახული მე ვერ წამაქცევს.  
თბილი მისი ასხალშობილ ფოთლებს ჩამაქცევს.  
დღეს გაზაფხული აღიონზე, ალვის ხედ მაქცევს,  
ოღონდ არ გამცე, გვეკრდები, ოღონდ არ გამცე.



# ფ ა ქ ტ ი

## „ნაპაღულის“ საინფორმაციო სააგენტო



საინფორმაციო  
სააგენტო

\*\*\*  
12 წლის ასაკის გოგონებში საქართველოს წლევეანდელი ჩემპიონი ჭადრაკში სოფიკო ხუხაშვილი გახდა. 14 წლის ასაკის გოგონებში კი ჩემპიონის სახელი ინგა ჭარხალაშვილმა მოიპოვა.

12 წლის ბიჭებიდან ყველას მერაბ გაგუნაშვილმა აჯობა, 14 წლის მოჭადრაკე ბიჭებში კი ბადურ ჯობაყამ იხსელა თავი.

\*\*\*  
ბოლნისის რაიონის სოფელ ტალავრის აზერბაიჯანულ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ნუშაბა გურბარაღიევას მონადინებით გამართა ღია გაკვეთილი „ლადო ასათიანი“. სკოლის საუცხოოდ გაფორმებულ ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტში აზერბაიჯანულმა მოსწავლეებმა ქართულად წაიკითხეს ლადო ასათიანისა და სხვა ქართველი პოეტების ლექსები.

\*\*\*  
ვილინუსში გამართულ ნორჩ მუსიკოსთა საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც დიდი ლიტველი კომპოზიტორის დვარიონისის სახელს ატარებს, დიდ წარმატებას მიაღწიეს თბილისის ზაქარია ფალაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიის მოსწავლეებმა. ცხრა წლის თამარ ბერიაშვილმა და ათი წლის ნატალია ყაზარიაშვილმა უმცროსი ასაკის პიანისტა

ჯგუფში გაიმარჯვეს და ლურჯები გახდნენ. ამასთან ნატალიამ სამი სპეციალური პრიზიც დაიმსახურა - ბაროკოს სტილში, რომანტიკულ სტილში შესრულებული ნაწარმოებებისათვის, დვარიონისის ნაწარმოებებისათვის და პუბლიკის სიმპათიების პრიზი. მევიოლინეთა შორის 14 წლის ნათია მდინარაძემ იხსელა თავი, რომელმაც უფროსი ასაკის ჯგუფში პირველი ადგილი და კიდევ ორი პრიზი დაიმსახურა - არტისტიზმისა და ტექნიკური შესრულებისა და პუბლიკის სიმპათიებისათვის.

\*\*\*  
საერთაშორისო კავშირ „საქართველოს ბავშვების“ თბილისის ჩუღურეთის რაიონის განყოფილებაში შემაჯამლა ბავშვებმა მედიცინის მუშაკთა სახლში საღამო გაუმართეს თავიანთ მეურვეებს. საღამოზე მოწვეულები იყვნენ პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები, უცხოელი სტუმრები საერთაშორისო ორგანიზაციიდან „ოჯახი და ბავშვები“ და სხვები, ვისაც ნაბევილად შესტკივა გული მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებზე. მასპინძლებმა საკუთარი შემოქმედება გააცნეს სტუმრებს და გულთაძვირ მადლობა გადაუხადეს მათ შიშვართ გამოჩენილი ზრუნვისა და სითბოსათვის.

\*\*\*  
ლონდონში უდიდესი წარმატება ხვდა 11 წლის ქუთაისელი მოსწავლის ბესო ყაზაიშვილის ნამუშევრების გამოფენას. მხახველებმა და სპეციალისტებმა ერთხმად აღიარეს პატარა ქართველი მხატვრის დიდი ნიჭიერება და თავისებური აზროვნება. ბესომ ხატვა ოთხის წლს ასაკში დაიწყო, სადღეისოდ კი მისი შემოქმედება 3000 მუშევარს ითვლის. ლონდონში კერძო გალერეის მფლობელმა ბატონმა როი მაილსმა სიამოვნებით დაუთმო „პატარა ქართველ გენიოსს“ თავისი საგამოფენო დარბაზი. აქ გამოფენილი ყველა ნამუშევარი ელვის უსწრავლად გაიყიდა. განზრახულია აღებული თანხა ბესოს ხელოვნების სკოლაში სწავლას მოხმარდეს.

\*\*\*  
თბილისის ფრანგულ-ქართული კოლეჯის მოსწავლეებმა ტრადიციული სპექტაკლი მოამზადეს. წარმოდგენა, რომელსაც „ლურჯი ფრინველი“ ერქვა, პატარა-პატარა სცენებს, ლექსებს, სიმღერებს და ცეკვებს აერთიანებდა. მთავარი ყურადღება კი მიიწვი „პატარა უფლისწულს“ დაეთმო. ცხადია, ყველა ნომერი ფრანგულ ენაზე შესრულდა. სპექტაკლზე მოწვეული ფრანგი სტუმრები აღტაცებულები დარჩნენ ცალკე ქართველი ბავშვების შემოქმედებით, და ცალკე ფრანგული ენის ცოდნით.

07092

საინფორმაციო  
სააგენტო

# საპი თვე

## გურგომინა ზიასუ



ში ნასვლის პირველი დღე. ძალიან ველავედი, რადგანაც არ ვიცოდი, თუ როგორ მიმიღებდნენ გერმანელი ბავშვები. ვამჩნევდი, როგორ მაკვირდებოდნენ და თვითონაც ინტერესით ვადევნებდი თვალს. ძალიან მალე მივხვდი, რომ ისინი არაფრით განსხვავდებიან ქართველი თანატოლებისგან, მაგრამ თავისუფალ დროს სულ სხვანაირად ატარებენ: აქვთ სხვადასხვაგვარი ჟურნალები, ზღაპრული აუზი, დისნეილენდი, ტარდება უამრავი დღესასწაული, შეჯიბრი, ფესტივალი, ექსკურსია, ლაშქრობა. გერმანელი გოგობიჭები ცხოვრებასაც სხვანაირად აღიქვამენ, შეხედულებებიც ჩვენგან განსხვავებული აქვთ. ჩვენ მალე დავამხანაგდით, განსაკუთრებით იმ ბავშვებს დავუახლოვდი, რომლებსაც ჩემსავით უყვართ ცხოველები და საერთოდ ბუნება. ჩვენ ხომ საუბრის საერთო თემა, საერთო ინტერესები გვქონდა - ჩვენი საყვარელი ცხოველები და ფრინველები.

გიმნაზიაში კაცი მასწავლებლები ჭარბობდნენ, რაც, ჩემი აზრით, ძალიან სწორი და კარგია. განსაკუთრებით ორი მასწავლებელი კაცი ვიცოცხლედი - ინგლისური ენისა და სპორტისა, მაგრამ სხვებიც კარგები იყვნენ. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის იქ ძალზე თბილი, მეგობრული დამოკიდებულებაა, ბავშვები მასწავლებელს შინობით ელაპარაკებიან და ა.შ.

ამ ზამთარს დედაჩემის ახლო ნაცნობისგან ფრანგ ბერგმანი-სგან გერმანიიდან მიწვევა მომივიდა. ფრანგ ბერგმანი დაწვევითი სკოლის მასწავლებელია. მას ქმარი და ორი მოზრდილი ქალიშვილი ჰყავს. რადგანაც ისინი მშობლებთან ერთად აღარ ცხოვრობენ და სხვა ქალაქებში სწავლობენ, ცოლქმარ ბერგმანებს უყვართ სხვადასხვა ქვეყნების ბავშვების მიწვევა გერმანიაში. ისინი სიამოვნებით აცნობენ მათ თავისი ქვეყნის ისტორიასა და კულტურას, გერმანელების ცხოვრების წილსა და აღქმას, და რაღა თქმა უნდა, ენას. თვითონაც დიდი

ისინიც მარტოები მიფრინავდნენ გერმანიაში. აქვე გავიცანი ერთმანეთი და გამოირკვა, რომ ყველანი სხვადასხვა ქალაქებში მიფრინავდით სასწავლებლად: შტუტგარტში, ტრირში, ფრანკფურტში. გზაში პატარა არასასიამოვნო თავგადასავალიც გადაგვხდა. ამინდი გაფუჭდა და საშინელ რნევაში მოვხვდით. ფრანკფურტის აეროპორტში დაჯდომა შეუძლებელი გახდა და თვითმფრინავმა თითქმის ერთი საათი პაერში იტრიალა. ხალხს ძალიან შეეშინდა, ვაითუ, საწვავი გამოგველიოს და რა გვეშველებაო. თითქმის ყველამ ავარიის შემთხვევისთვის თა-

ვის შველის ინსტრუქციის შესწავლა დაიწყო. ერთი ქალი მუხლებზე დაეცა და ლოცვა დაიწყო. მე და ნინოს კი რატომღაც არ გვეშინოდა, მშვენიერ ხასიათზე ვიყავით, საბოლოოდ ჩვენი თვითმფრინავი მიუზღუნის აეროპორტში დაჯდა. და ჩვენც რამდენიმე საათს მიუწვდინის, ლამაზი და მყუდრო აეროპორტის თვალყურებით ვიქცევდით თავს. მერე ჩვენი მზიარული მგზავრობაც დამთავრდა და მე ბერგმანების ოჯახში ამოვიყვი თავი...




ინტერესით ისმენენ მონაყოლს მორიგ ქვეყანაზე და ცდილობენ შეძლებისდაგვარად გაეცნონ მას.

ამიტომ იყო, რომ ამ მოწვევამ ძალიან გამახარა. ჩემი მშობლები კი ძალიან ნერვიულობდნენ და ნუხდნენ, მე ხომ პირველად უნდა მეგზავრა მარტოს, დამოუკიდებლად. მთელი დღეები ჭკუას მარიგებდნენ. და აი, როგორც იქნა, გათენდა ჩემი გერმანიაში გამგზავრების ნანატრი დილა. ჯერ კიდევ თბილისის აეროპორტში მივაქციე ყურადღება ჩემს თანატოლებს,

დადა ჩემი ბურგომინაზია-

მოსწავლეები იმდენად დისციპლინირებული არიან, რომ გაკვეთილზე ლაპარაკს არ იკადრებენ, ვისაც მოსმენა არ სურს, უბრალოდ ჩუმდება, მაგრამ გაკვეთილები ყოველთვის საინტერესო და მხიარულია. გაკვეთილები 7 საათსა და 30 წუთზე იწყებოდა და ჩვენ ექვს საათზე უნდა ავმდგარიყავით, რათა შვიდსაათიანი S-Bahn-თვის, მიგვესწრო, რომელსაც გიმნაზიამდე მივყავდით. საქმე ის არის, რომ გიმნაზიები მხოლოდ შედარებით დიდ ქალაქებშია, მე და ჩემი კლასელების უმეტესობა კი პატარა-პატარა ქალაქებში ვცხოვრობდით. თავიდან ძალიან გამიჭირდა ასე ადრე აღდგომა, მაგრამ თანდათანობით შევეჩვიე, რაღა გზა მქონდა, უბრაოდ ვდგებოდი. გაიქროლა ზამთრის ცივმა და თოვლიანმა თვეებმა. ბაღებში, ქუჩებში, გზისპირებებში, ერთი სიტყვით, ყველა შესაძლებელ ადგილას სათბურებიდან გადმორგული მშვენიერი ყვავილები აყვავდა. ამდენი ულამაზესი და ჩემთვის უცნობი ყვავილი ჩემს სიცოცხლეში არ მენახა და მათი არსებობაც კი ვერ წარმომიდგინა. აზრადაც ვერ არავის მოუვა, ერთი პატარა ყვავილი მაინც მონყვიტოს. აყვავდა ქალაქგარეთ, მთის კალთებზე გაშენებული უთვალავი, უზარმაზარი ხეხილის ბაღი და მთელი ბუნება მათი სილამაზითა და სურნელით აივსო.

ერთ ასეთ მშვენიერ გაზაფხულის დღეს, ოცდაათ მარტს გერმანიაში აღდგომა დადგა. ეს




ნამდვილი დღესასწაული იყო. უკვე ერთი თვით ადრე მალაზიები სავსე იყო სააღდგომო საჩუქრებით და ტკბილეულებით. მთელი ქალაქი სააღდგომოდ იყო მორთული. გერმანიაში არის ასეთი ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ადამიანები, ერთმანეთს ბედნიერებას რომ უსურვებენ, ყველანი ერთ კურდღლებს ჩუქნიან (ცოცხლებს, შოკოლადისას, სათამაშოს და ა.შ.) დღესასწაულის დამეს ექლესიის ზარებმა ქრისტეს აღდგომა გვაძენს.

მაგრამ ადრე თუ გვიან ყველაფერი მთავრდება, დამთავრდა ჩემი გერმანიაში ყოფნის დროც და მიუხედავად იმისა, რომ ეს სამი თვე საშინლად მეწატირებოდა თბილისი, ჩემი სახლი, მეგობრები, გერმანიასთან განშორება ძალიან მასვედიაწებდა. ბურგინმაზიაში ჩემი სწავლის

ბოლო დღეს თანაკლასელებმა გამომშვიდობება მომიწიეს. ერთად ვიძღვრეთ ჩვენი მხიარული სიმღერები. ყველა ბავშვებმა თავისი სურათი მოიტანა და მათგან ერთი ლამაზი პლაკატი შეადგინეს და სახსოვრად მაჩუქეს. მასწავლებლებმა ბურგინმაზიის მისსურვი მისასხოვრეს, რომელზეც ბავშვებმა თავისი ხელმოწერები დატოვეს... ერთმანეთს ხელი ჩამოვართვი. ბედნიერება ვუსურვეთ, მისამართები გავცვალეთ, ვითამაშეთ და დავეშვიდობეთ. ასეთმა თბილმა დამოკიდებულებამ ძალიან გამახარა და იმ დღეს ნაღვლიანიც და ნასიამოვნებიც ვიყავი...

12 აპრილია. ჩვენ ფრანკფურტის უზარმაზარ და ულამაზეს აეროპორტში ვართ. ჩემს სიხარული საზღვარი არ უქონდა, როცა ისევ იმ ქართველ ბავშვებს შევხვდი, აქედან ერთად რომ ვიმგზავრეთ. ისინიც ჩემსავით შინ ბრუნდებოდნენ. ნახვამდის, გერმანია, მოვალ შეხვედრამდე! ფრენის ოთხმა საათმა ნახაის, გაღატანილი ამბების, შთაბეჭდილებების მოყოლაში გაირონა და აი, ჩვენი თბილისიც გამოჩნდა. სამწუხაროდ, ისევ ჩაბნელებული, ისევ ნაგვიანი, მაგრამ მაინც ძალიან საყვარელი და მონატრებული.



ნიმე ხუშუა,  
თბილისის №3 ქართული  
გიმნაზიის VIII კლასის მოსწავლე

# აივებ აზიშოპი

## ერთ მუშენიერ დღეს

(თითქმის ფანტასტიკური მოთხრობა)

უსმენდა. პოლი რომ შემოვიდა, ბარდი ამბობდა:

- და მაშინ ლომმა უთხრა: "თუ შენ იმ ფრინველის კვერცხს მომიტან, რომელიც ათ წელიწადში ერთხელ გადაუფრენს შავ მთას, მე..."  
- ეს რა, შენი ბარდა? - ჰკითხა პოლმა. - მე არც ვიცოდი, თუ შენ ბარდი გქონდა.

ნიკოლო განითლდა. - ეს ჯაბახანა ასი წელია მაქვს. თითქმის არაფრის მაქნისია. - ფეხი გაჰკრა ბარდს. ბარდმა წაიბორძიკა - მისი მოლაპარაკე მონყობილობა წამით უკონტაქტოდ დაჩრა, - მერე განაგრძო:

- ... ერთი წელი და ერთი დღე, სანამ რკინის ქალამენდი არ გაუყვდა. პირინცესა გზის პირას შეჩერდა...

- ერიპა! რა ძველი მოდელი ყოფილა! - თქვა პოლმა და კრიტიკული თვალი შეავლო ბარდს. ნიკოლომ მეგობრის ტონში დაცინვა იგრძნო. ინანა კიდევ, რატომ შემოეშვიო - ნეტავ ჯერ ბარდი ჩამეთრია თავის ადგილზე - სარდაფში. იქიდანაც ხომ გაგულისებულმა ამოათრია: მამასთან ლაპარაკი არაფრითაა, არ დამთავრდა, დღევ, თითქოს ჯიბრზე. ქალიან მიწყენილი გამოდგა. ბარდი კი, როგორც ნიკოლი ვარაუდობდა, რეგვიკი აღმოჩნდა. ნიკოლოს ცოტა არ იყოს ისედაც ეშინოდა პოლის: სკოლაში ის ინდივი-

დუალური პროგრამით მცადინებოდა და ყველა ამბობდა, ინჟინერ-მეკომპიუტერული გამოვით. არც თვრითნა, ნაქაქა კოლო სწავლობდა ცუდად. ცუდი ნიშნები არა ჰქონდა ლოლიკაში, ბინარულ მანიპულაციებში, გამოთვლასა და ელემენტარულ ელექტროსტატიკაში - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ჩვეულებრივ საგნებში. მაგრამ უბედურებაც ეს იყო! ეს სრულიად ჩვეულებრივი საგნებია, ნიკოლო გაიზრდებოდა და პულტზე იმუშავებს, როგორც ყველა სხვა.

სხვა ამბავია პოლი - მან იმდენი რამ იცის ელექტრონიკის, თეორიული მათემატიკისა და პროგრამირების შესახებ! პოლმა ერთი კი მიუგდო ბარდს ყური, მერე კი ჰკითხა: - ხშირად რთავ ხოლმე?

- არა, კაცო! - იწყინა ნიკოლომ. - მას შემდეგ, რაც შენ აქ ჩამოხვედი, სარდაფში მეგლო. ახლახან ამოვართიე აქ...

- და გიყვება მთელ ამ სისულელეს - ტყისმჭრელეზზე, მოლაპარაკე ცხოველებზე და პრინცესებზე? - ჰკითხა პოლმა.

- საშინელებაა, ხომ? - დაეთანხმა ნიკოლო. ახალ მოდელზე ხელი არ მიგვიწვდებოდა. დილით ველაპარაკე მამას...

იმის გახსენებაზე, თუ როგორ ამოად ეშუდარებოდა მამას, ნიკოლოს ცრემლები მოადგა, მაგრამ შეიკავა. რატომღაც ეგონა, რომ პოლს ცრემლები არასდროს არ უდღურავდა ჩაცვნილ ლოყებს და მას უბრალოდ ეზიზღებოდა მასზე სუსტები. ნიკოლო განაგრძობდა: - ჰოდა გადავწყვიტე კიდევ ერთხელ მესინჯა ეს ძველმანი. პოლმა გამორთო ბარდი, დააჭირა ლილავს, რომელიც ნაშში ინვევდა სქემაში ჩადებული სიტყვების მარაგის,

ნიკოლო მაცეტი ხალიჩაზე იწვა, ნიკაპი ხელისგულზე ჩამოყურდნო და მონყენილი უსმენდა ბარდს. მის ქუქ თვალეში ცრემლის მსგავსი რალაც ილანდებოდა - თერთმეტი წლის ბიჭი მაშინ თუ აძლევს თავს ამის უფლებას, როცა მარტო რჩება.

ბარდი ამბობდა:  
- დიდი ხნის წინათ, ერთ უღრან ტყეში ცხოვრობდა ტყისმჭრელი თავისი ორი ქალიშვილით, ორივე მზეთუნახავი იყო, ავ თვალს არ ენახებოდა. უფროს ქალიშვილს ყორნის ფრთასავით შავი თმა ჰქონდა, უმცროსს - ღია ფერისა, როგორც მზის სხივები შემოდგომის დღეს, ვიდრე გოგონები მამის დაბრუნებას ელოდებოდნენ ხოლმე, უფროსი დაჯდებოდა სარკის წინ და მღეროდა. ნიკოლომ ველარ გაიგო, მაინც რას მღეროდა ხოლმე ტყისმჭრელის უფროსი გოგონა, იმდენი რომ ქუჩიდან ძახილი მოესმა: - ეი, ნიკო, გაუმარჯოს, შინა ხარ?

ნიკოლოს უშალ სახე გაებადრა, ფანჯარასთან მიიბინა და გასძახა:

- შინა ვარ, პოლ, გაუშარჯოს!

პოლ ლოუბი ნიკოლოზე გამხდარი იყო, მაგრამ უფრო მაღალი არა, თუმცა, ნახევარი წლით უფროსი კი იყო. აშკარად აღელვებული ჩანდა. ნიკოლო მიხვდა, რომ პოლს ერთი სული ჰქონდა, რალაც გაეზიარებინა მისთვის.

- გამოიღე, ნიკო. იცი, რა იდეა მომივიდა - გაგიფდები. - პოლმა მიიხედ-მოიხედა, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო, მაგრამ ეზო ცარიელი იყო. - გაგიფდები, - ჩურჩულით გაიმეორა მან. - მოდი, შემოდი. ბარდი კი თავისას ერეკებოდა, თხრობას განაგრძობდა, თითქოს ვერ ამჩნევდა, რომ ნიკოლო არ

ხატ-სახეების, სიუჟეტის ხაზებისა და კულმინაციების გადართვას. მერე კი ხელახლა ჩართო აპარატი. ბარდმა დინჯად დაიწყო:

- იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბიჭი, სახელად უილიკინსი. დედა მოუკვდა და ახლა მამინაცვალთან და ნახევარძმასთან ერთად ცხოვრობდა. თუმცა მამინაცვალი მდიდარი იყო, უილიკინსისთვის საწოლს ვერ იმეტებდა და ბიჭი იძულებული იყო იქ დაეძინა, სადაც მოუხერხებოდა, თოვლში, მზეზე, ცხენების გვერდით...

- ცხენები! - შესძახა პოლმა

- მგონი, რაღაც ცხოველები უნდა იყოს, - უთხრა ნიკოლომ.

- ჰო, ვიცი! მე იმის თქმა მინდოდა, ხომ წარმოგიდგენია, ზღაპარი ცხენებზე - მეთქი!

- სულ ცხენებზე ყვება, - თქვა ნიკოლომ - და კიდევ რაღაც ძროხებზე. მათ წველიან, მაგრამ ბარდი იმას კი აღარ ამბობს, როგორ.

- ფუ, ბიჭო! მერე რატომ არ ააწყობ?

- მე ხომ არ ვიცი, როგორ უნდა ავაწყო და...

ბარდი ლაპარაკობდა:

- უილიკინსი ხშირად ფიქრობდა, თუ როდისმე გავმდიდრდები და ძლიერი ვიქნები, აუცილებლად გადაუხდი სამაგიეროს მამინაცვალს, და ნახევარძმას მათი სისასტიკისთვისო. და აი ერთხელაც გადაწყვიტა ბედის საძიებლად წასულიყო.

პოლმა, რომელიც არ უსმენდა ბარდს, თქვა:

- ეს ხომ ადვილი ადვილია. უბრალოდ სიტყვათა მარაგი უნდა შევევსოთ, უნდა შევეყვანოთ ცნობები კომპიუტერების, ავტომატიკის, ელექტრონიკისა და დღევანდელი ლობის სხვა რეალობის ამბების შესახებ. მაშინ კი ნა-

ღდად საინტერესო ზღაპრების მოყოლას დაიწყებს, ყოველგვარი პრინციპებისა და მსგავსი სისულელების გარეშე.

- აუჰ, რა მაგარი იქნებოდა! - უხალისოდ წარმოთქვა ნიკოლომ.

- მამაჩემი მეუბნება, თუ გაისად სპეციალურ კომპიუტერულ სკოლაში მოხვდები, ბოლო მოვლის ბარდს გიყიდი კოსმიური და დეტექტიური ისტორიებისთვისო.

- და რა, ამ ისტორიების ნახვა შეგეძლება?


- აბა რა. მისტერ დოგერტი, სკოლის მასწავლებელი, ამბობს, ასეთი რამეები უკვე არსებობს, მაგრამ არა ყველასათვისო. მამა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს მის ყიდვას, თუ მე კომპიუტერულ სკოლაში ჩავირიცხები. ნიკო-

ლმა ისევ ბარდზე გადაიტანა ყურადღება. ის კი ლაპარაკობდა.

- „ასეთ შემთხვევაში, უთხრა ხელმწიფემ, ნევრებზე ხელი ჩამოისვა და ისე მოილუშა, რომ ცაზე ღრუბლები გაჩნდა და გაიღვა, - იცოდე, შენ ყველაფერი უნდა ილიონო, რათა ზეგ ამ საათისთვის ჩემს სახელმწიფოში არც ერთი ბუზი არ დარჩეს, თორემ...“

- უნდა გავცხნათ, - თქვა პოლმა. ისევ გამორთო ბარდი და ლაპარაკ-ლაპარაკით დაიწყო წინა პანელში ჩხიკინი.

- ეი, - შემფოთდა ნიკოლომ, - არ გატეხო, რა. - არ გავტეხავ, - უპასუხა გაღიზიანებულმა პოლმა. - მე ამ რაღაცებს კარგად ვიციონ. - მერე უფერვად შიშით დაუმა-



ლოს შურისგან თვალები შუბლზე აუვიდა.

- აუჰ, ბიჭო! ზღაპრის ყურება!

- შეგიძლია მოხვიდე ხოლმე და უყურო, როცა მოგინდება, ნიკი.

- მართლა? მაღლობთ

- არაფერს. ოღონდ იცადე: მე ამოვირჩევ ხოლმე, რა მოვისმინოთ.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. - ნიკოლომ უფრო მკაცრ პირობებზეც სიამოვნებით დათანხმდებოდა. აი-

ტა: - შენი მშობლები შინ არიან?

- არა.

- ძალიანაც კარგი. - წინა პანელი მოხსნა და შიგ შეიხედა.

- ფუი, ბიჭო, მარტო ერთი ბლოკი არა შექონია?!

ნიკოლომ შემფოთებით ადევნებდა თვალს პოლს და ვერ კი გაეგო რას აკეთებდა. პოლმა რაღაც ნერტილებით დაფარული ლითონის დრეკადი ფირფიტა ამოიღო. - ეს ბარდის მესხიერების მონყობი-

ლობა. გინდა, დავნაძღვედეთ, რომ მისი ტყვადობა სამ მილიონ ზღაპარს აღწევს.

- რა ჩაიფიქრე, პოლ? - აკანკალეული ხმით ჰკითხა ნიკოლომ.

- ახალ სიტყვებს შევეყვან.

- რანაირად?

- სულ უბრალოდ. მისტერ დოგერტიმ ერთი ნიგნი მომცა, თანა მაქვს.

პოლმა ჯიბიდან ნიგნი ამოიღო და პლასტიკის ბუდე შემოაცალა. მერე ცოტა ფირი გადაახვია, ვოკალიზატორში შეუშვა, რომელიც ჩურჩულამდე დაიყვანა, ბარდს ფირი ჩაუდგა და რაღაც დარეგულირა.

- ეს რისთვის არის საჭირო?

- ნიგნი ილაპარაკებს, ბარდი კი ყველაფერს დახსოვების მონყობილობაზე ჩაიწერს.

- მერე?

- ღმერთო ჩემო, რა ყველჩი ხარ. ნიგნი კომპიუტერებისა და ავტომატიკის შესახებაა, ბარდი ნიგნიდან მთელ ინფორმაციას აიღებს და აღარ მოყვება ხოლმე იმაზე თუ როგორ იწვევენ ხელმწიფეები ჭეჭა-ჭხილს, როცა წყრებიან.

- გამარჯვებით კი მაინც კეთილი იმარჯვებს, - ჩაურთო ნიკოლომ. - სულ არ არის საინტერესო.

- რას იზამ, თქვა, პოლმა და ბარდს ჩახედა ყველაფერი კარგად უმუშავებს თუ არაო, - ასე არიან დაპროგრამებული. კეთილი უნდა სძლიოს ბოროტს. ერთხელ მაინა ჩემმა მითხრა, ცენზურა რომ არ იყოს, შეუძლებელი იქნებოდა იმის წინასწარმეტყველება, სად მივა ახალგაზრდა თაობა. საქმეები ისე დაც ცუდად არისო, ამბობს მამა... ჰო, ნორმალურად მუშაობს. - პოლმა კმაყოფილებით მოიფშვინტა ხელები

და ბარდს ზურგი აქცია. - ბიჭო, ჩემს იდეაზე რომ არაფერი გიამბე! დავნაძღვედეთ, უკეთესი არაფერი გსმენია, პირდაპირ შენთან მოვედი, იმიტომ რომ დარწმუნებული ვარ, მხარს დამიჭერ.

- რა თქმა უნდა, პოლ, რა თქმა უნდა...

- ჰოდა, ძალიან კარგი. მისტერ დოგერტი ხომ იცი, ჩვენი სკოლის მასწავლებელი, გახსოვს, რა უცნაურია? მე კიდევ, რაღაცნაირად თითქოს მოგწონვარ.

- ვიცი?

- დღეს გაკვეთილების შემდეგ მასთან ვიყავი სახლში. - სახლში?!

- ჰო. მეუბნება, კომპიუტერულ სკოლაში უნდა შეხვიდეთ და უნდა გამამხნევოს: ასე ამბობს, რაც შეიძლება მეტი ისეთი სპეციალისტია საჭირო, თანამედროვე კომპიუტერული სქემების დამუშავება და ნამდვილი დაპროგრამება რომ შეძლებათ.

- ჰო?!

პოლს, ალბათ, არ გამოპარია, რომ ამ ერთმარცვლიანი შეძახილის უკან არაფერი იყო.

- დაპროგრამებო! - გაღიზიანებით გაიმეორა მან. ასევერ მოგიყვები დაპროგრამება მულტივიკის მსგავსი განტური კომპიუტერებისათვის ამოცანების შედგენა. მისტერ დოგერტი იბახის, რომ სულ უფრო ძნელად ხდება ისეთი ადამიანების მოძებნა, კომპიუტერების მართვა რომ შეუძლიათ. საკონტროლო ფარის თვალის დევნება, პასუხების შედარება და ჩვეულებრივი ამოცანების მიცემა ყველას შეუძლია. პრობლემა კვლევის გაფართოებასა და საჭირო კითხვებსა დაყვინების ხერხების დამუშავებაში მდგომარეობს, ეს კი ძალიან ძნელია. ყოველ შემთხვევაში, ნიკი, მისტერ დოგერტიმ თა-

ვისთან წამიყვანა და ძველი კომპიუტერების კოლექცია მაჩვენა. იცი, ძველი კომპიუტერების შეგროვებში ვიზუალური კომპიუტერებიც არაა, ვით ჰქონია. პანანსტელა კომპიუტერებიც აქვს პატარა ბურთულებით, რომლებიც თითებით უნდა გადაწიო. რაღაც ფიცარიცაა აქვს, თვითონ ლოგარითმულ სახასხასეს უნდა დაედა, შიგ მოსრიადე თამასა აქვს, გასანეე - გამოსანეევი, მერე რაღაც მათულები მაჩვენა, ბოლოებზე ბურთულები ჰქონდა. იცი, რაღაც ქალაღლიც მაჩვენა, ზედ რაღაც ჰქონდა, რომელსაც თვითონ გასამრავლებელ მაგიდას უწოდებდა.

ნიკოლომ ნაკლებად აინტერესებდა ეს ყველაფერი, მაგრამ მაინც ჩაეკითხა. - ქალაღლის მაგიდა?

- არ გეგონოს ისეთი მაგიდა იყოს, ჩვენ რომ ჭამის დროს ვუსხდებით. ეს მაგიდა ადამიანებს დათვლაში ეხმარებოდა. მისტერ დოგერტიმ სცადა, აესხნა, როგორ კეთდებოდა ეს, მაგრამ ცოტა დრო ჰქონდა, თანაც ეს რთული საქმე ყოფილა.

- მაშ კომპიუტერებს რატომ არ იყენებდნენ?

- კომპიუტერები ხომ ჯერ არ არსებობდა! - შესძახა პოლმა.

- არ არსებობდა?!

- დიას, არ არსებობდა. შენ რა, გგონია, რომ ადამიანებს ყოველთვის ჰქონდათ კომპიუტერები? გამოქვაბულის ადამიანებზე არაფერი გსმენია?

- უკომპიუტეროდ როგორ იყვნენ?

- არ ვიცი. მისტერ დოგერტი ამბობს, ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რაც კი თავში მოუვიდოდათ, იმაზე კი არ ფიქრობდნენ, სხვებისთვის კარგი იყო თუ არა. ფერმერებს საკუთარი ხელით მოჰყავდათ ნაირნაირი კულტურები, სხვები თვითონ მუ-

შაობდნენ ქარხნებში, მათავედნენ მანქანებს.

- არა მჯერა შენი.

- მისტერ დოგერტიმ თქვა ასე. მიხსრა, რომ იცოდე, რა საშინელი არეულობა სუფევდა, ყველა უბედური იყო... მოიცვა რა, დამაცადე ჩემს იდეამდე მივიდე რა!

- მერედა ვინ გიშლის? - იწყინა ნიკოლომ.

- ჰოდა, აი იმ ხელის კომპიუტერებს კაუჭები, კაურები ჰქონდა. მოძრავ სახაზავზეცის გასამრავლებელი რაღაც მაგიდა ხომ საერთოდ ჩახვებ იყო კაურებით, ვკითხე, ასეთი რა კაურებია - მეთქი, და მისტერ დოგერტიმ მიპასუხა „ციფრებიო“

- რაო?

- თითოეული კაური ცალკე ციფრს აღნიშნავდა. „ერთიანთის“ რაღაც განსაკუთრებული ნიშანი უნდა დაესვათ, „ორისთვის“ - სხვა, „სამისთვის“ - სხვა და ასე შემდეგ.

- მისთვის?

- დათვლა რომ შეძლებოდათ.

- კი მაგრამ რისთვის? კომპიუტერს ოღონდ კი უთხარი...

- აუჰ, გამაგიჟებ რა! - შეპყვირა პოლმა და ბრაზისგან სახე მოექცა. - შეიგნებოლოს და ბოლოს, რომ ამ გამოსანვე სახაზავებს და სხვა რამეებს არც ლაპარაკი შეეძლოთ და არც მოხმენა.

- აბა?

- პასუხები კაურებით გამოიხატებოდა, და უნდა გცოდნოდ, რას ნიშნავდა ესა თუ ის კაური. მისტერ დოგერტის თქმით, ბავშვობაში ყველა სწავლობდა ამ კაუჭებისა და კაურების აღნიშვნას და გაშიფვრას. კაურების კეთებას „წერა“ ერქვა, მათ დეკოდირებას კი - „კითხვა“. თითოეული სიტყვას თავისი კაური ჰქონდა და ოდესღაც ნიგნებსაც ამ კაურებით წერდნენ. მისტერ დოგერტიმ ისიც მიხსრა, მუზეუმში არის რამდენიმე წიგნი და თუ გინდა შეგიძლია ნახო. მას მიაჩნია, რომ თუ მე მინდა ნამდვილი პროგრამისტი გახვდე, აღრიცხვის ისტორიას უნდა მოვიკიდო ხელი, ამიტომაც მაჩვენებს ყველაფერს.

ნიკოლო მოიღუშა. - გამოდის, რომ ყველას უნდა გამოცნოთ თითოეული სიტყვის კაური და დაეხასოვრებინა ისინი? - ჰკითხა მან.

- მართლა ასეა, თუ მაგონებ?

ნიკოლომ დაიწყო. - ნუთუ არ გესმის? როგორ ვერ მიხვდი, ყველაფერი ეს ხომ საიდუმლო გზავნილებები იქნება!



შეებ?

- არა ნაღია. გეფიცები. აი, ნახე, როგორ უნდა აღნიშნო „ერთი“ - პოლმა პაერში ხაზი ჩამოუსვა. - ასე - „ორია“, ასე კი - „სამი“ ყველა ციფრი ვისწავლე ცხრამდე. ნიკოლო თვალს აყოლებდა თითის მოძრაობას. - მერედა რა აზრი აქვს ამას?

- შეიძლება სიტყვების შედგენა ისწავლო.

მისტერ დოგერტის ვკითხე, „პოლ დოუბი“ როგორ გამოეკბათ მეთქი, მაგრამ ვერ მიხსრა, არ იცოდა. მუზეუმში არიან ადამიანები, რომლებსაც ნამდვილად ეცოდინებათ, ხოლო ოდესღაც ყოფილან ადამიანები, მთელი წიგნების დეკოდირება რომ შეეძლოთ. მისი თქმით, წიგნების დეკოდირებისთვის შეიძლება კომპიუტერებს აგება, და ოდესღაც მათ სწორედ ამისთვის იყენებდნენ, მაგრამ ახლა აღარ იქნებენ, იმიტომ რომ ახლა არსებობს ნამდვილი, მოლაპარაკებელი, ნიგურფირებიანი ნიგნები. ისე

რომ თუ მე და შენ მუზეუმში წავალთ, შეგვეძლება ვაურებისგან სიტყვების შედგენა ვისწავლოთ. ჩემი კომპიუტერულ სკოლაში ვაპირებ, ნებას მოგვცემენ.

ნიკოლო შეფიქრინდა. ნიგნები ჩანდა.

- ეგ არის მთელი შენი იდეა? ღმერთო ჩემო, პოლ, ვის რად უნდა მაგის კეთება? რაღაც სულელური კაურების გამოყენება, ფუ!

- ნუთუ არ გესმის? როგორ ვერ მიხვდი, ყველაფერი ეს ხომ საიდუმლო გზავნილებები იქნება!

- რაა?!

- აბა რა გეგონა. რა აზრი აქვს იმას, რომ ლაპარაკი იცი, თუ ყველას ესმის შენი? კაურების საშუალებით კი საიდუმლო გზავნილებების გადაცემა შეიძლება. შეიძლება ქალაქზე აღნიშნოს ისინი და კაციშვილი ვერ გაიგებს რისი თქმა გინდა, თუ არ იცის, რა რა არის. ბიჭები, კი, ვერაფერსაც ვერ მიხვდებიან, თუ ჩვენ არ ვასწავლით, ცხადია. შეგიძლია ნამდვილი, ნაღვი კლუბი შექმნათ თავისი ნესდებით, წევრებად კურთხევით, საკუთარი ოთახებით. ხომ მაგარია?

ნიკოლომ რაღაც შეუტოვდა ამერდში. - რა საიდუმლო გზავნილებები?

- ნებისმიერი. მაგალითად, მე მინდა გითხრა, ჩემთან მოდი ვიდუგობარდს გაჩვენებ მეთქი. მე გამოვხატავ შესაბამის კაურებს, გაძლევ შენ, შენ დახედე და მიხვდები, რა უნდა გააკეთო. სხვას კი არავის არაფერი არ ესმის. შენ შეგიძლია ეს ქალაქიც კი აჩვენო, მაინც ვერაფერი მიხვდებიან.

- ჰო, ეს კი მართლა რალაცას ნიშნავს. - ნიკოლო ნაწილობრივ დარწმუნდა ამ იდეის სარგებლობაში. - კაურების გამოსახვის სწავლას როდისღა შეუდგები?

- ხეალ. მე ვთხოვ მისტერ დოკტორს, რომ მუზეუმში მოეკარავოს. გაცვეთილების შემდეგ პირდაპირ მუზეუმში წავიდეთ და შესწავლა დავინაოთ.

- მაგარი! და კლუბის გამგეობის წევრებიც გახდებით.

- მე პრეზიდენტი ვიქნები, - განაცხდა პოლმა, თითქოს ეს თავისთავად იგულისხმებოდა. - შენ კი - ვიცე - პრეზიდენტი.

- კარგი. ეს ხომ უფრო საინტერესო იქნება - ვიდრე ბარდის მოსმენა. - ანაზხად ბარდი გაახსენდა და შემფოთებულმა იკითხა:

- მართლა, ჩემი ბარდი როგორღა არის?

პოლი მიბრუნდა და აპარატს შეხედა. ის კი მთელი სერიოზულობით ითვისებდა წიგნს: წიგნის ვოკალიზაციის ხმა შორეული ბუტბუტით ვით ისმოდა. - ცოტაღა დარჩა, თქვა პოლმა.

მალე პოლმა თავისი წიგნი ამოიღო და ფიბეში ჩაიღო, ბარდის პანელი თავის ადგილზე ჩადგა და აპარატი ჩართო. ბარდი ალაპარაკდა:

- იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი ბიჭი, სახელად ნათელი ჯონი, ბიჭი დიდ ქალაქში ცხოვრობდა და მისი ერთადერთი მეგობარი პატარა კომპიუტერი იყო. ყოველ დღით კომპიუტერი ამცნობდა ხოლმე ჯონს ინჟინერება თუ არა იმ დღეს, პასუხობდა ყველა მის კითხვას. კომპიუტერი არასდროს არ ცდებოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთ მშვენიერ დღეს იმ ქვეყნის ხელმწიფემ გაიგო პატარა კომპიუტერის ამბავი და მისი ხელში ჩაგდება მოინდომა. ისმომთავარი ვაზირი და უხრა.

ნიკოლომ ხელის სწრაფი მოძრაობით გამორთო ბარდი.

- ისევე ძველი ამბებია, -

გაგულისებულმა თქვა, - მარტო კომპიუტერი დავმატა. - ფირზე იმდენი რამე აქვთ ჩანერილი, - აუსხნა პოლმა, - რომ როცა თავისუფალი კომბინაციები დგება, კომპიუტერული მასალა თითქმის ვერ მუღავნდება. თუმცა, რა განსხვავება? შენ უბრალოდ ახალი მოდელი გინდა.

- ეჰ! ჩვენ არასდროს არ გვექნება ახალი მოდელი, ხელი არ მიგინევდება. ჩვენი ბედი ეს უზადრუვი ნავაგია - ნიკოლომ ისევ წიხლი ჰკრა ბარდს. ბარდი უკან გაგორდა, ბორბლები საწყალობად აღრჭიალდა.

- არა უშავს, ჩემსას უყურე, როცა მექნება, - დაამშვიდა პოლმა. - ეგეც არ იყოს, ჩვენ, ხომ ახლა კლუბი გვაქვს. ნიკოლომ თავი დაუქცია. - იცი რა? განაგრძო პოლმა. - წამო, ჩემთან წავიდეთ, მაშაჩემს რაღაც-რაღაც წიგნები აქვს ძველი დროის შესახებ. მოვისმინოთ, იქნებ რამე მოვიფიქროთ. წავედით?

- კარგი, - დაეთანხმა ნიკოლო, და ბიჭები გარეთ გაცვიდნენ. სიჩქარეში ნიკოლომ ბარდს გვერდი გაჰკრა, მირტყმული ადგილი დაიხილა და გაიქცა. ბარდზე ჩართვის ნიშანი აინთო. ნიკოლოსთან შეჯახების შედეგად წრედი შეიკრა და, თუმცა ოთახში მარტო დარჩა და ვერავინ მოუსმენდა, ბარდმა თავისი ზღაპარი წამოიწყო, ოღონდ უფრო ხმადაბლა, ამჯერად მის ხმაში ხორხისმიური ნოტები უღერდა. ბარდი ამბობდა:


- ძალიან დიდი ხნის წინათ, ცხოვრობდა პატარა კომპიუტერი, სახელად ბარდი. სულ მარტო იყო სასტიკ ადამიანებს შორის. ეს სასტიკი ადამიანები სულ დასცილდნენ, აბუჩად იგდებდნენ პატარა კომპიუტერს, სულ იმას უკვირებდნენ არაფრის მაქნისი, უვარგისი ნივთი ხარო. სცემდნენ და თევზობით აწყვედნენ ცარიელ ოთახებში.

მაგრამ პატარა კომპიუტერს არასდროს დაუკარგავს სიმსხვევე. ცდილობდა ყველაფერი კარგად გაეკეთებინა, ჩაღდა ასრულებდა ყველა ბრძანებას. მაგრამ ადამიანები, რომლებთანაც ის ცხოვრობდა, მაინც სასტიკები და უგულოები რჩებოდნენ. ერთხელ პატარა კომპიუტერმა შეიტყო, რომ ქვეყნად უამრავი, ბევრზე ბევრი სხვადასხვანაირი კომპიუტერი არსებობს. ზოგი მასაკითხარდი იყო, სხვები კი ქარხნებსა და ფერმებს მართავდნენ. ერთი მოსახლეობას ხელმძღვანელობდნენ, მეორე ათასნაირ ცნობებსა თუ მონაცემებს ამუშავებდნენ და აანალიზებდნენ. ბევრი უფრო ძლიერი და ბრძენი იყო, ვიდრე ის ადამიანები, ასე სასტიკად რომ ექცეოდნენ პატარა კომპიუტერს. მერე ბარდმა ისიც გაიგო, რომ კომპიუტერები უფრო და უფრო გონიერები და ძლიერები გახდებიან, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს... ერთ მშვენიერ დღეს... უნაგმორეულ შიგნეულობაში რაღაც ძველზე ძველი ელექტრონათურა გადაენვა და ახლა ის მარტო იდგა საღამოს ბინდით საცხე ოთახში, თითქოს რაღაცას ელოდებო, და კვლავ და კვლავ ჩურჩულებდა: -... ერთ მშვენიერ დღეს... ერთ მშვენიერ დღეს...

თარგმანი  
ნელი კალანდიაძე

აიზემპ აზიელოვი

პრო  
მშვენიერ  
დღეს



# მსოფლიო კიდით-კიდემდე



საქართველო  
საერთაშორისო

## საზრანგეთი

14 წლის ეტიენ ბაკრო ყველაზე ახალგაზრდა საერთაშორისო დილოსტატია ჭადრაკის ისტორიაში. ეტიენი საფრანგეთის პატარა დაბა მერიკურ-სიურ-სომში ცხოვრობს დედ-მამასთან და უმცროს დასთან ერთად. ჭადრაკის თამაში 4 წლისამ დაიწყო და ძალიან მაღალ მიიქცია ჭადრაკის სპეციალისტა ყურადღება. დღეს ეტიენს



უკრაინული წარმოშობის მოჭადრაკე იოსებ დორფმანი წერთის, რომლის აზრითაც მის აღსაზრდელს კარგი მოთამაშისთვის აუცილებელი ყველა თვისება გააჩნია: იგი მშვიდი და მომთმენია, საოცრად კარგად ესმის თამაში და ასევე კარგად ერკვევა მის სტრატეგიაში. გარდა ჭადრაკისა, ყმაწვილ დილოსტატს ძალიან უყვარს კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ანკენით თევზაობა.

## ჩინეთი

საკუთარი მოსახლეობის ზრდის ტემპით შუნ-უხებულ ჩინეთში კარგა ხანია სორციელდება პოლიტიკა - „ერთი ოჯახი - ერთი შვილი“. ყველაფერთან ერთად აქ მაინცაა, რომ ერთშვილიან ოჯახში ბავშვი უფრო პარმონიულად განვითარდება და მისი აღზრდა-განათლებაც უფრო სრულყოფილი იქნება. ქვეყნის 12 ქალაქში ჩატარებული „პატარა იმპერატორების“ (ასე ეძახიან აქ დედისერთა ბა-

ვშვებს) გამოკითხვის შედეგად გამოიკვეა, რომ სხვა თანატოლებთან დედისერთებს ერთი სახანმოველი ღირსება - დახმარებისთვის მზადყოფნა გამოარჩევს. გამოკითხვამ ნაკლებ სასიამოვნო ვითარებაც გამოავლინა - ნორჩ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა უზრდელი, უზნეო, უგერგილო, ზარმაცი და მოუსაზრებელი აღმოჩნდა.

## აშშ

ამერიკის შვერტებული შტატების პრეზიდენტის 17 წლის ქალიშვილმა ჩელსიმ სწავლის გასაგრძელებლად ქვეყნის ერთ-ერთი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელი - სტენფორდის უნივერსიტეტი აირჩია. ჩელსი ისეთივე პირობებში ისწავლის და იცხოვრებს, როგორშიც ყველა სხვა დანარჩენი სტუდენტი: ცხრამეტრიანი სტანდარტული ოთახი ტანსაცმლის კარადით, სანერი მაგიდითა და სანოლით, საერთო საპირფარეო და საშხაპე დერეფნის ბოლოში. ამასთან უნივერსიტეტის შინაგანაწესის თანახმად, პრეზიდენტის ქალიშვილი მარტო არ იცხოვრებს ამ ოთახში. გარდა ამისა, მას ტანფრებზეც ისე უნდა ეცვაოს, როგორც ყველა აქაურ სტუდენტს - სპორტული მაისური და „პუტასები“.



და მთელი სერიოზულობით ემზადება მომავლისათვის, სადაც მას სამეფო ტახტი ელის.

## დიდი ბრიტანეთი


მას შემდეგ, რაც ჰინცი ჩარლზი და პრინცესა დიანა გაიყარნენ, ბრიტანელები ნაკლებ იმედებით 15 წლის ვაჟიშვილზე, უილიამზე ამყარებენ და პრინციას, რომ სწორედ იგი იქნება საუკუნოვანი მონარქისტული ტრადიციების ღირსეული გამგრძობლები. მომავალი მეფე უილიამი და მისი სამოედ წლის ნინ ბევერი ოაგისი თანატოლის მსგავსად, ღირს ანტი და გაუფორნარი მიჭი ცუდ დღეს კი იგი ინგლისის საუკუნოვან სასწავლებელში (სტონ-სენჯახის





# რატომ ანათებს ციციანთელა?

ვინ იცის, რამდენი თქვენგანს ვინ გაუოცებია ზაფხულის ღამეში ღობის ძირში თუ ბუჩქნარში მოულოდნელად აკიაფებულ იდუმალ ციციმს; რამდენ თქვენგანს არ დაუფერებია ერთი უბრალო პატარა შავი მწერის ახლოს ხედვისას, რომ სწორედ ის არის ციციანთელა... ახლა რამდენ თქვენგანს დაუხურავს განილებულს ენციკლოპედიის ტომი, მას შემდეგ, რაც თითქმის არაფრის მთქმელი და პროზაული ცნობები ამოუკითხავს ციციანთელის შესახებ: „ხოჭოების



ოჯახი. აქვთ ნაგრძელებული მუქი ფერის სხეული. დედლები მატლს ჰგვანან. ღამის მწერები არიან. ზოგი სახეობის ზრდასრულ დედლებს მუცლის ბოლოზე აქვთ მანათობელი ორგანო. მრავალი სახეობის მატლები და კვერცხებიც ანათებენ. ოჯახში 2 ათასამდე სახეობაა“...

ბიოლუმიწისცენცია ჰქვია თურმე იმ ნათებას, ასე რომ გვაკვირვებს და გვიბიძგებს. თურმე ეს მოვლენა ციციანთელების გარდა, ასობით სხვა ორგანიზმსაც ახასიათებს (თევზებს, თავფხიან მოლუსკებს, სოკოებს). დედამინაზე არა ერთი ადგილია ის-

თი, ციციანთელებს რომ რატომღაც აურჩევიათ სამკვიდროდ. ერთ-ერთი მათგანია მალაიზიის, ჯოსორის შტატი, უფრო სწორედ ამ შტატის ტყე. ციციანთელებს ამ ტყეში ერთი ხე აქვთ ამოჩემებული. ამ ხის ტოტებზე ბინადრობენ, ამ ხის ტოტებზე ანთებენ ღამ-ღამობით ათასობით ციციანა ნათურას, ამ ხეს ამსგავსებენ მოციმციმე სასნაულს.

თავიდან ციმციმი უწესრიგო, ყოველგვარ რიტმს მოკლებულია. მერე კი, როცა მწერები ერთ-ერთ ტოტზე იყრიან თავს, ისინი გარკვეული რიტმით იწყებენ ანთება-ჩაქრობას და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყველა ერთ ნრედშია ჩართული და ვიღაც უხილავი გარკვეულ ინტერვალზე ერთ ატაკატუნებს გამომრთველს. ამბობენ, ციციანთელეების ხე ბუნების ვერცერთ საოცრებას ვერ შეედრებაო.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ციციანთელების ციმციმის სიხშირე მათი სახეობისა და ჰაერის ტემპერატურის მიხედვით იცვლება. მაგალითად, მალაკური მტერობტიქი დაახლოებით ნამში ერთხელ ანთებს თავის შუქურას. აღამიანის თვალი მხოლოდ ერთ აფეთქებას ხედავს, სინამდვილეში კი მწერი თურმე ორჯერ, ნამის ერთი ოცდამათედის ინტერვალში ანთებს და აქრობს თავის შუქურას. მეცნიერებს დაკვირვებით სინქრონულად მხოლოდ ციციანთელების ხეზე მობინადრე მამალი მწერები ანათებენ... თუმცა დედალი ციციანთელებიც იქვე იმყოფებიან, ამ ოდნავ მოკვიანებით ჩნდებიან, მათი ულამიმი ნათება მამლების რიტმულ ციმციმს არ ემ-



თხვევა. ყველა ციციანთელა მარგარითიანების, ანუ ხოჭოების რაზმს განეკუთვნება. გამონაკლისი ახალზელანდიური ციციანთელაა, რომელიც თუმცა ორფრთიანთა რაზმის წევრად ითვლება, სოკოს კოლოების ნათესავია. მეცნიერები დიდი ხანია სწავლობენ, როგორ აწარმოებენ გარკვეული უჯრედები და ქსოვილები სინათლის გამოყენებულ ნაერთებს, როგორ ურთიერმოქმედებენ ეს ნივთიერებები. რობერტ ბოილმა რომელმაც პირველმა დაიწყო ბიოლუმიწისცენციების ლაბორატორიული შესწავლა, 1667 წელს გამოიკვია, რომ მანათობელი ბექტერიებისა და სოკოების სინათლე ქრება, თუ ორგანიზმებს ჟანგბადი აკლიათ. 1887 წელს რაფაელ დიუბუამ დაამტკიცა რთული ორგანული ნივთიერების არსებობა, რომელსაც მან ლიუციფერინი უწოდა. იმისათვის, რომ სინათლე გამოყოფს, ეს ნივთიერება ფერმენტ ლიუციფერაზთან და ჟანგბადთან ურთიერთმოქმედებს. კიდევ ერთმა მეცნიერმა, ამერიკელმა ფიზიოლოგმა პროფესორმა ნიუტონ ჰარვიმ მთელი თავისი სიცოცხლე ცოცხალი ორგანიზმების მიერ სინათლის გამოცემის შესწავლას მონაწილეობდა. მან თავის სტუდენტებთან ერთად დაამტკიცა, რომ არსებობს ლიუციფერინის და

ლიუციფერაზის მრავალი ნაირ-სახეობა, რომ ფაქტობრივად, თითქმის თითოეული მანათობელი სახეობისთვის განსაკუთრებული ნივთიერება და განსაკუთრებული ფერმენტი არსებობს. ურთიერთმიმედეგების დროს ისინი სწრაფად იცვლებიან და სპექტრის ხილულ ნაწილში ენერგიას გამოყოფენ. „რამდენიმე წლის წინათ მეთევზის პატარა შხუნით ვმოგზაურობდი. ზღვა ღელავდა. არასდროს დაბავინყდებია ის საოცარი სანახაობა, მაშინ, რომ გადამეშალა თვალწინ, თითოეული ტალღას თავზე ცეცხლი ეკიდა. ამის მიზეზი კი წყალში მანათობელი ერთფერადიანთა კონცენტრაცია იყო. საზოგადოდ ისინი სანაპირო წყლებში უფრო გვხვდებოდა, მაგრამ მაშინ ტრილიონობით ციცქნა მანათობელი არსებამ გაშლილ ზღვაში მოიყარა ერთად თავი და საოცრად ააბრჭყვიალა ზღვა. სასწაულებრივ ლამაზთა მანათობელი ერთფერადიანებით აკიაფებულ ზღვის ტალღები. მოიყრის ერთად გაშლილ ზღვაში თავს ტრილიონობით ციცქნა მანათობელი არსება და ზღვარულ სანახაობას ქმნის. თვითონ წარმოდგინეთ ანაზღად ავლვარებულნი ლამეული ზღვა.“ - ისინებებს მეცნობს პ. ზალი.



ცნცია ესმარება თევზების გუნდებს ერთად იყვნენ, იზიდავს ნადავლს, აადვილებს გამოცნობას. დღემდე ამოუცნობ საიდუმლოდ რჩება ის გარემოება, რომ ერთ სახეობას გააჩნია სინათლის გამომცემი ორგანოები, ხოლო მეორეს, მასთან ძალზე ახლო მდგომ სახეობას ნათება არ შეუძლია. ისიც გაურკვეველი რჩება, თუ რატომ გვხვდება მტკნარი წყლის ბინადართა შორის ლუმიწისცნცია ასე იშვიათად. ახალ ზელანდიაში, საკლენდიდან ასი მილის მანძილზე მდებარეობს უეიტომის მღვიმეები, რომლებიც ახალზელანდიაში უკოლოებს აურჩევით საცხოვრებლად და მხახველების განსაცუფერებლად. ჩადიხართ სუსტად განათებულ მიწისქვეშეთში, ფრთხილად მიაბიჯებთ მის დერეფნებში, უკუნეთში მიწისქვეშა ტბის შავი წყლის შრიალი ისმის და გაკრთობთ. მერე გიდი გთავაზობთ: „ახლა მე შუქს გამოვრთავ, თქვენ კი ჭერში აიხედეთ“. იმავე წამს კირის ჭერი წყლის თავზე ასობით მოთეთრო - ცისფერი ნაპერწკლებით მოიჭედა, მერე ტბის ზედაპირზეც აირეკლა ნაპერწკლები „ეს ნაპერწკლები ახალზელანდიაში ციცქნა კოლოებს მატლებია“. - სასწაულიდან გამოგარკვევთ გიდიდს ხმა. თქვენ ძნელად იჯერებთ ამას, გიდი კი განაგრძობს. „ახლა გთხოვთ, ჩემს ფარანს გამოკლეთ თვალი.“ თქვენ ასეც იცეცით და ახლა ათასობით აბრეშუმის ძაფს ხედავთ, რომლებზეც მარგალიტბივით არის ასხმული ფარანის შუქზე მოციავც წვეთები. ყველა ეს ძაფი ერთგვარ ნებოვან ფარდას ქმნიდა, რომელიც ისევე სახიფათოა სინათლით მო-

ზიდული პატარა-პატარა მწერებისთვის, როგორც ობობას ქსელი. როცა მსხვერპლი ჩაფანჯრის გაბეშება, მატლი ჩაადგებს ძაფს ყბებსა და მუცლის ციცქნა ჯაგარს და შიგნით შეითრევს მას მერე კლავს და შეეცეცვა...

იაპონიაში, ლუმიწისცნცია ის ცნობილი სპეციალისტი დოქტორის იატა ანედა ნიჟაროვან კიბობის სწავლობს. მან დაადგინა, რომ ეს ციცქნა მანათობელი კიბოსნაირები სიკვდილის შემდეგაც ინარჩუნებენ ნათების უნარს. მეცნიერად შეუძლია დანტეერესებულ ადამიანებს სასწაული უჩვენოს. ამოიღებს პატარა პლასტიკის ფლაკონიდან გამზარ ციცქნა კიბობებს, მერე ცოტა წყალს მოასხამს მათ, ოდნავ დაზოილავს, რათა მყიფე ნიჟარები დაუმსხვრიოს და მას ხელისგულზე უცნაური არამინერი სინათლე აუკიაფებდეს...

დასასრულ ვნახოთ, რას წერს ინგლისელი მეცნიერი, ბიოლუმიწისცნციათა დარგის სპეციალისტი პ. ზალი: „... ისევე როგორც ბევრ სხვა სფეროში აქაც, რაც უფრო მეტს ვგებულობთ ბიოლუმიწისცნციათა შესახებ, მით უფრო მეტი გვრჩება გასაგებები. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ოდესმე, როცა ბიოლუმიწისცნციათა ყველა საიდუმლო ბოლომდე იქნება ამოხსნილი, ცივი სინათლე გაანათებს ჩვენს სახლებსა და ქალაქებს, უზრუნველყოფს უსაფრთხო განათებას გვირაბებსა და მადარობებში, მოემსახურება კოსმიურ ხომალდებს... ჯერჯერობით კი ამ დღის მოლოდინში ჩვენ იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ ბუნება ჯერ კიდევ ბევრად გვიცნობს წინ“.



ბევრი მეცნიერი იმტრეებს თავს იმის დასადგენად, თუ რა მნიშვნელობა აქვს ლუმიწისცნციათა ორგანიზმებისთვის. ისინი ვარაუდობენ, რომ ღრმა წყლების ბინადარი თევზები საკუთარ მანათობელ ორგანოებს ზღვის შავ სიღრმეში თავისებურ პროჟექტორებად იყენებენ. სხვების აზრით კი, ლუმიწის-



# იზაბელა, მწვანე ჯუჯილი!

ინვა იზორია შუგდიდის რაიონის სოფელ ორულუს საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეა.

## ნუ წახვალ ჩემგან!

(ჩანახატი)

როგორ გავიხარე, როცა მერცხალმა ჩვენი აივნის ჭერქვეშ დაინყო ბუდის შენება! გაოცებული ვადევნებდი თვალს, როგორ გულმოდგინედ ემზადებოდა დედობისთვის. მერე ორი ბარტყიც გამოჩეკა. ალბათ ორივეს ერთიანრად გაგვიხარდა მათი გაჩენა. მერცხალს საზრუნავი მოემატა, დღეში ასჯერ მაინც გაფრინდებოდა ხოლმე შვილებისთვის საჭმლის მოსატანად. პატარები მხოლოდ მაშინ წვევტდნენ ჭყიპინს, როცა დედა პირში ბუზს, კალიას თუ სხვა მწერს ჩაუდებდა. საოცარი სანახავი იყო. მერე ბარტყები დაფრთიანდნენ, და-მოუკიდებელი ცხოვრება დაიწყეს. მერე კი, როცა აცივდა, მთელმა ოჯახმა სხვა თანამომკმებთან ერთად თბილ ქვეყნებს მიაშურა. გაკვირიდა განშორება. არ დაი-

ჯერებთ, მაგრამ შევამჩნიე, რომ მერცხალს ჩემგან ნახვლა ეძნელებოდა, მაგრამ რას იზამდა, ვეღარ დარჩებოდა. გაფრენამდე ძალიან მოიწყინა, ბუმბული აებურტანა, და-დარდნიანდა. შევშფოთდი, მაგრამ ვიფიქრე, იქ, თბილ ქვეყნებში, უკეთ იგრძნობს თავს, გამოჯანმრთელდება და მომავალ გაზაფხულზე ისევ დამიბრუნდება-მეთქი. გული კი მაინც მტკიოდა. „მამო, მიღის ჩემგან, მარტო მტოვებს... ნუ წახვალ, დარჩი ჩემთან“ - ჩუმად ვემუდარებოდი, თუმცა კი ვგრძნობდი, რომ აუცილებლად უნდა გაფრინდებოდა...


გაფრინდა, წავიდა ჩემი მერცხალი, ჩემი ნუგეში და იმედი. წავიდა და დიდი ნაღველი დამიტოვა. გულს იმით ვივიდებდი, რომ გაზაფხულზე კვლავ მესტუმრებო-

და. აი, ნანატრი გაზაფხულიც მოვიდა. ამწვანდა მდელი, ამბინდა მინდორ-ველი. ხემ ფოთოლი გამოსხსა, ზერებში ვაზი ატირდა. მერცხლებსაც მოვკარი თვალი, ცაში დასრიალებენ ლაღი ჭიჭიკით. ნეტავ, ჩემი რომელია? ველოდები, რომ ერთი მათგანი გამოეყოფა და-ნარჩენებს და ჩემი სახლისკენ გამოფრინდება. ველოდები. გადის დღეები, გაზაფხულის პირველი თვეც მიინურა, მერე მერეც- ისევე არ ჩანს. ჩემი მერცხალი არ ჩანს არ დაბრუნდა. ნეტავ, რა მოუვიდა? სად არის? ვილა მანუგეშებს, ვინ გამომიხარულენს გულს? ვკითხუ... არა, არ მინდა დავიჯერო. ცუდ ფიქრებს ვიგრიებ... თუმცა, მგონი, დამიბრუნდა... ვილაც ზის ბუდეში. კი, მერცხალია... მაგრამ ჩემი კი არა, სხვა, სხვა მერცხალმა დაიღობინა იმის აშენებულ ბუდეში, სხვამ გამოჩეკა ბარტყე-ბი. თითქოს მიხარია, მაგრამ... არა, ახალმოსულს ისე ვერ შევიყვარებ.

შეშფობებელია. იმ მერცხალს ვერ დავივინწყებ, ვერ დავივინწყებ მის ტპილ ჭიჭიკის და ვერც იმას დავიყვარებ, რომ ის აღარ არის. ტპილი მოგონებებით ვინუგეშებ თავს და იმდენი თვალით უცდვიდ მომავალს. განა არ შეიძლება, რომ დამიბრუნდეს?



მარიამ სეკანია  
თბილისის 46-ე  
საშუალო სკოლის II  
კლასში სწავლობს და  
ძალიან უყვარს ხატვა



# „ბალანჩინის“ პარსკვლავები

მესამე წელია არსებობს ქ. ქუთაისის ბაგრატიის ფონდთან სტუდია „ბალანჩინი“, სადაც სხვადასხვა ასაკის ბავშვები ხალხურ თუ თანამედროვე საესტრადო სიმღერებს და ცეკვებს სწავლობენ. დიდი მზრუნველობითა და რუდუნებით აზიარებენ მათ ხელოვნებას სტუდიის ხელმძღვანელები მათა ბალანჩინივად და ვლადიმერ მაჩიტაძე, ქორეოგრაფი აკაკი ბაბუნაშვილი, ორანჟირების ოსტატი ზაზა ხუბუტელაშვილი, სწორედ მათი დამსახურებაა ის, რომ ბალანჩინივადმა უკვე მიიქციეს მსმენელები და მუსიკალური საზოგადოების ყურადღება. შარშან სტუდიის აღსაზრდელებმა თილისობის დღესასწაულზე მიიღეს მონაწილეობა, თბილისის საერთაშორისო ფესტივალ „ოქროსი ობობაშიც“. ამ ფესტივალზე გრანპრი მოიპოვა სოფიკო ქაშაიაშვილმა. ვ. მაჩიტაძის სიმღერის „ფოთლების“ შესრულებისათვის II სისის სოფიკომ ქართული საესტრადო სიმღერების პირველი რესპუბლიკური ფესტივალის „გაზაფხულის ზარების“ უმაღლესი პრიზი დაიმსახურა. პატარა ზვიად ფლავაძემაც ასახელა აღმ-

თი ასათიანის, მირანდა ამალღობელი, ეკა ტოფაძის, ლანა რევიციანის, დავით გოგაძის, მძებნი ოიაკლი და გიგა სილაგაძეების, რუსუდან ქართველიშვილისათვის, ეჭვი არ ეპარება, რომ ამ გამორჩეულ, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული გოგონიჭების სახით ქართულ ესტრადას საინტერესო თაობა ეზრდება. ჯერ სულ პატარები არიან ნოდარ სინაურიძე, ნათია ნატრიაშვილი, ლიკა ლეიკიშვილი, დამა ეკა და ალექსი აფციალურიძე, მაგრამ მათ ახლავს უნანსწარმეტყველებენ საგულისხმო მომავალს. დიდ იმედებს ამყარებენ სტუდიაში ქეთი და ანი სამხარაძეებზე და კობა კუხიანიძეზე, რომელიც მალე თავისი ძმის, გიგას მიერ ორანჟირებულ საკუთარ ალბომს გაიშუშვებს. ფესი იდგამს მეტად ორიგინალური კვინტეტი „მეგობარი ბიჭები“, ერეკლე დიდას ხელმძღვანელობით. ასევე ახალი მოსულები არიან სტუდიაში ქრისტინე ჩიხლაძე და ნანა მექმარაშვილი, რომლებმაც უკვე მოასწრეს საგულისხმო შემოქმედებითი განაცხადი გაეკეთებინათ. სტუდია „ბალანჩინი“ ქორეოგრაფიული ჯგუფიც



ზრდელები. ჯერ ხომ საქალაქო კონკურსში გაიმარჯვა, მერე პირველში გამართული ბავშვთა რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი გახდა, სულ ახლახან კი კონკურს „დილის ვარსკვლავის“ შესარჩევ ტურში უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. თურმე განსაკუთრებით მის მიერ შესრულებული ვ. მაჩიტაძის ქართულ ხალხურ მოტივებზე შექმნილი კომპოზიცია მოიწონა. ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია გვანცა გელაძის, ანა რევიციანის, ნინო ლანჩავას, ქე-

არის, აქ ბავშვები ცეკვებსაც სწავლობენ და ესტრადის მომღერლებისათვის აუცილებელ მოძრაობებსაც იმუშავებენ და ხევენ. წარმატებით ეუფლებიან ამ ხელოვნებას ანა ლეშკაშვილი გურანდა დარსაველიძე, სალომე ცინაძე, დათო მორჩიძე, სხვა მათი ნაწარმოები. უნდა ველოდოთ, რომ ტყუილი „ბალანჩინის“ პატარა ვარსკვლავების ციმციმი მომავალში მთელ ქართულ ესტრადას გააანათებს.

ციცილო მგაბრიძე



## სიფყვის ჯანა

**ჩერგილი** მომკრო  
ჯენი, ოღონდ არა თევსა  
და წალსა. არამედ ლობიოსი, სოიასი და სხვ.



**გალი** — ტობტობა და  
ხილი ხე; შტობტობა ხე.



**ტოილა** — ცხენს ფეხზე მოსამბელი მსხვილი თოკი. ამ თოკით სამოფარში აბამენ ცხენს.





# ზემოვამსოვით სამართველოს ჯაჭვის პერანბი...

(მომავალ მეთაურთა სკოლა)

შამქორი, ბასიანი, დიდგორი, ფარცხისი, მარაბდა, მარტყოფი, ასპინძა... მოწმობენ და მეტყველებენ. მაშ, დღეს თუ ხვალ რაღად უნდა გაგვინწყრეს ღმერთი?! დღეს


თის, თამარის, ცოტნეს, ერეკლეს, თორნიკეს, გიორგის, დემეტრეს თუ ათასი ქიტუასას, ნასყიდას, მახარეს, კახაბერის, ლევანის, გოჯას-პირის, ნაშიერები არ არიან დღევანდელი ვაჟები?!

ოდითგანვე ასე ყოფილა - ქართველ კაცს ცალ ხელში რომ გუთნის სახელურზე ან ვაზის სასხლაგზე ეჭირა, მეორე ხელის ვადაზე, თოფის ჩახმახზე ედო...

ოდითგანვე ერგოთ ხვედრად სამშობლოს დაცვა ქართველ ვაჟკაცებს.

დაპყრობითს კი არა, ოდენ თავდაცვით ბრძოლებსა და ომებს აწარმოებდნენ ჩვენი წინაპრები. კი არავის ართმევდნენ რამეს, სხვებს არ ართმევენებდნენ - თავის მიწასა და წყალს. კი არავის უბლაღავედნენ წმიდათაწმიდას, თავისას არ აბლაღვიენებდნენ სხვებს...

დაიძახებდნენ, ქუღზე კაციო და... მტერს ეკვეთებოდნენ, წყდებოდნენ, ქედს კი არ იდრეკდნენ. მიუხედავად მტრის მრავალრიცხოვნობისა, მიუხედავად უკეთურ თანამომქმთა ლალატისა და გაუტანლობისა (ვაგლახ და ვაგლახ), მიუხედავად და მიუხედავად, უპირატესად დიხაც, რომ იმარჯვებდნენ -



თუ ხვალ რატომღა ვერ უნდა დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი?!

დღეს რატომ ვერ უნდა იდიდგორონ და იშამქორონ ქართველმა ვაჟკაცებმა?!

განა ფარნავაზის, დავი-

სხვანაირად ვერ იქმთ - უნდა იშამქორით და იდიდგორით, ბიჭებო! ლაშა გერქმევით თუ თემური, ვახტანგი თუ საბა, ნიკოლოზი თუ ივერი... მარადუამს მზად უნდა იყოთ სამშობლოს, წინაპართა სისხლითა და ოფლით მორწყული მიწა-წყლის დასაცავად, ოდენ დასაცავად... იქნებ სხვასაც უთქვამს, ქართველის გარდა, „სამშობლოს არვის წავართმევთ ნურც ნურვინ შეგვეცილებათ“, მაგრამ ჩვენ ჩვენი საფიცარი სამშობლო გვაქვს, ისეთი, სხვებისას რომ ვერ შეედრება და იმიტომ გვინდა მხოლოდ ჩვენი, იმიტომ არ ვინდომებთ სხვისას, და იმიტომვე არ დაუთმოთ ჩვენსას არავის...





საამისოდ კი მზად უნდა გიყოს...


გონებაც უნდა გვიჭრიდეს და მკლავიც...

ქადილის ძალაც უნდა შეგწვედეს და მისი აღსრულებისაც...

ერთად, ერთად და მხოლოდ ერთად, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, იმეორი თუ ამერი უნდა ექსოვდეთ სამშობლოსთვის ჯაჭვის პერანგს...

ცხადია, ხალხისთვის, რომელსაც ნიადგ სამშობლოს დასაცავად მზადყოფნა ენერა ოდითგან, სულ ერთი ვერ იქნებოდა, როგორც ხმალი ეპყრობოდა, ხელთ რა იარაღით მოიგერიებდა მომხდურს და ამიტომაც ზრუნავდა ეგზომ საჭურველზე. საქართველოში დამზადებული საჭურველი ძველთაგანვე იყო განთქმული, იგი კავკასიის გარეთაც დიდად ფასობდა. მალაღზარისხოვანი ფოლადისა და საჭურველის წარმოებაში საუკუნეების მანძილზე ოსტატდებოდნენ ქართველი ხელოსან-მეიარაღენი, თაობიდან თაობას გადასცემდნენ ხელობის საიდუმლოებას. თუნდაც ჯავარდენი, მალაღზარისხოვანი ფოლადი დაეი-

მონმოთ, რომლის ერთ-ერთ კლასიკურ ქვეყანად საქართველო აღიარებული. საქართველომ ბოლო დრომდე შემოინახა ამ სახის ფოლადის წარმოების საიდუმლოებაც და ამ ფოლადისგან იარაღის დამზადების ტექნიკაც. ბევრის თქმა შეუძლიათ დღემდე შემორჩენილ ან მუზეუმებში გამოფენილ საჭურველზე არსებულ დამღებსა და წარწერებს, რომლებიც მარტო მეიარაღეებზე კი არ მოგვითხრობენ, არამედ იმათზეც, ვინც ეს იარაღი ეკუთვნოდა.




სასწაულებრივ მოუღწევია ჩვენამდე ვახტანგ VI ფარს: ეს მსუბუქი და კონტაქტალი ერეკლეისა; ეს ჯაჭვი კი ალექსანდრე მეფისა ყოფილა... აი ამ, დიახ, აი ამ მუზარადით ყოფილა აღჭურვილი ჯალალედინი... ეს კი შაჰბასის ხმალია...

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული საჭურველი ორ ჯგუფად არის დაყოფილი, თავდასაცავი და შესატყევი იარაღი. თავდასაცავად ჩვენს წინაპრებს უპირატესად თავსარქველი, ჯაჭვის ჯავშანი, ფარი უმზარიათ. მუზარადს, ჩაჩქანს, ჯაჭვით ნაქსოვ ჩაბალახს, ჯაჭვის პერანგს, ჯაჭვით აღჭურვილ ჩაჩქანს უნდა დაეცვა ქართველი მეომარი მტრის მიერ მოქმედი ხმლისაგან. ჯაჭვის პერანგი ოვალური რკოლებისაგან ყოფილა ასხმული, კალთა კი უფრო წვრილი რკოლებიდან შედგებოდა. ჯაჭვის პერანგს ჩვეულებრივი ტანსაცმლის ზემოდან იცვამდნენ, რომელიც გულთან იყო ჩაჭრილი და ყელთან დუგებოდა იკვრებოდა. იქსოვებოდა ფარეშიანი, უფარეშო და შედუღებული ჯაჭვის პერანგები. მათგან უფრო გამძლედ, თურმე ეს უკანასკნელი ითვლებოდა. შედუღებული ჯაჭვის პერანგი მხრებსაც უფარავდა მეომარს და იდაყვებსაც. უკვე მოქსოვილ, ასხმულ ჯაჭვს მერე ქვიშით აკრიალებდნენ.

საბრძოლო აღკაზმულობის ნაწილი იყო ჯაჭვიანი კიდურთსაფარი - „საფურე“, რომელიც თითქმის მთელ ხელს ფარავდა. საფურე მხოლოდ მარჯვენისთვის იყო განკუთვნილი, მარცხენას ხომ


ისედაც ფარი იცავდა. ქართული ფარები უპირატესად მრგვალი ფორმისაა. თავის დასაცავად ქართველი მეომარი სხვადასხვა დროს ხმარობდა ტყავადაკრულ ხის ფარს, ლითონით შეჭვდილ ტყავის ფარს და ცივად ნა-



ჭედი ლითონის ფარს. ძველად ქართველი მეომრის აუცილებელ თანმხლებს საგანს წარმოადგენდა საბრძოლო მათრახი. „ვეფხისტყაოსანი“ გავიხსენოთ: „ზოგა გადაჰკრის მათრახი მკერდამდის გასაპობელად“. ჩვეულებრივისგან განსხვავებით, საბრძოლო მათრახი ხარის ტყავის ღვედებისგან კეთდებოდა და მას მსხვილი და ენაბრტყელი ბოლო ჰქონდა. უძველესი სატყორცნი იარაღია შურდული. მის დასამზადებლად იყენებდნენ თე-

ლის, ტირიფის, თუთის და სხვ. ლაფანს, ძუას, შალის ძაფს. საუკეთესო მასალად ითვლებოდა ხბოს ან ხარის ტყავი. საშურდულე ქვის სატარებლად ქართველი მებრძოლები საგანგებო აბაჯიბებს, ხალთას იყენებდნენ. ძველი ქართველი მეომრების აღჭურვილობის უცილობელი კომპონენტი იყო მშვილდისარი. მშვილდი ჩვენში მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რქისაგან ან ხისაგან კეთდებოდა. რქის მშვილდს „აჯიმშვილდს“ უწოდებდნენ. სამშვილდედ უპირატესად შინდის ხეს იყენებდნენ. სამშვილდედ შერჩეულ ხეს თურქას საგანგებოდ მოხარშავდნენ, მოალობდნენ, გამოიყვანდნენ, რისთვისაც მიწაში ან ნაკვეში ფლავდნენ მას მშვილდის ლარს მყესების, ნაწლავების, თავისა და სხვა მასალებისგან ამზადებდნენ. ისარი სამფრთიანი იყო და ფრინველის ფრთისგან მზადდებოდა. განთქმული ყოფილა გუდამაყრელი მშვილდის ოსტატების ნახელავი. როგორც მეომარ ხალხს შეეფერის, ქართველებიც დიდად აფასებდნენ კარგ იარაღს. საჭურველი ქართული ტანსაცმლის აუცილებელ ელემენტს შარმოადგენდა. ხმალი, სატევარი, ხანჯალი ოჯახურ რელიქვიად ითვლებოდა და მონივნებით გადაეცეოდა თაობიდან თაობას არუწლწოვანების აღსანიშნავად ჭაბუკს საჭურველს გადასცემდნენ ხოლმე. ჯარდა ამისა, ხმალი ძალაუფლების სიმბოლოდაც ითვლებოდა. მეფის ან სარდლისათვის ხმლის გადაცემის ცერემონიადს ყოველთვის საზეიმო ხასიათი ჰქონდა და მას თავისი გა-

ნსაკუთრებული რიტუალი ახლდა. ქართული ხმალი ორგვარია: ვადიანი და უვადო. ქართულ დავითფერულ ხმალს, გორდას, კალდისა და სხვ. საქვეყნოდ ჰქონდა განთქმული სახელი. ქართველმა მეიარაღებმა ცეცხლსასროლი იარაღის დამზადებაც ადვილად ისწავლეს. ბევრი მათგანი ისე დახელოვდა, რომ ყოველად სრულყოფილ თოფს, დამბაჩას თუ ქვემეხსაც კი ამზადებდა. ისტორიას შემორჩა საუკეთესო ოსტატების, გუდამაყრელი პაპოსა და ხევსური სამნას სახელები. დიდებულ დამბაჩებს ამზადებდნენ აჭარაში, კერძოდ მაჭახელაში, აქ დამზადებულ იარაღსაც ეს სახელი შეერქვა. ბუნებრივია, მომხდურთა შეიარაღების შემხედვარე ქართველობა ნიადაგ ზრუნავდა საკუთარი აღჭურვილობის განვითარებაზე, ქვემეხების, მორტირების ცეცხლისმფრქვეველ ხახას საუკეთესო ხმლითაც კი ვერ აღუდგებოდი წინ და ჩვენმა წინაპრებმა ცეცხლსასროლი საჭურველის წარმოებასაც მალე



აუღეს ალღო. ერეკლე II თაოსნობით თბილისში ცეცხლსასროლი იარაღის ქარხანა, ზარაფხანა დაარსდა, რომელიც ქვემეხების ჩამოსხმას შეუდგა...


ცხადია, გაგონილი გაქვთ გინესის წიგნის შესახებ. ისიც გეცოდინებათ, რომ მასში თავმოყრილია ყველანაირი რეკორდი, ვიქვით: ბაყაყის ყველაზე შორი ნახტომი, ყველაზე გრძელმოხანი ადამიანი, ყველაზე დიდი სტაფილი, ყველაზე მაღალი მამაკაცი, ყველაზე სწრაფი ფრინველი... ერთი სიტყვით, ყველა და ყველაფერი, რაც ყველაზე ყველაზეა...

მაგრამ ის თუ იცით, როდის და სად გაჩნდა ეს წიგნი, ან ვის მოაფიქრდა მისი შექმნა?

პირველი გინესის რეკორდების წიგნი 1955 წელს გაჩნდა. იგი ირლანდიის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიის პრეზიდენტის ბენჯამინ გინესის მონადინებით და გადანყვებულობით შეიქმნა და სახელიც მისი დაერქვა. მოგეხსენებათ, ადამიანებს სჩვევიათ კამათი იმის თაობაზე, თუ ვინ არის „ყველაზე ყველაზე“, ხოლო ასეთ კამათში ჭეშმარიტება არ იბადება. სწორედ ამ გადაუჭრელი დავაკამათის გადასაჭრელად მოიფიქრა, ბენჯამინ გინესმა შეიქმნა წიგნი-ცნობარი, რომელშიც შევიდოდა აბსოლუტურად ყველა რეკორდი. დღევანდელი გინესისეული რეკორდების წიგნის საერთო ტირაჟი თითქმის 60 მილიონს აღწევს.

წიგნი 12 ძირითად თავად არის დაყოფილი. პირველი თავი ადამიანის აგებულების თავისებურებებს ეძღვნება. მაგალითად, მსოფლიოში ყველაზე მაღალი ადამიანი, რობერტ პერშინგ უოდლოუ, დაიბადა 1918 წლის 22 თებერვალს აშშ-ს ილინოისის შტატის ქ. ალტონში. 22 წლის ასაკში მისი სიმაღლე 272 სანტიმეტრი, წონა კი 222,7 კილოგრამი იყო.

მეორე თავი ცხოველებს აქვს დათმობილი. აქ თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ, რომ მსოფლიოში ყველაზე მსუქანი სატა ავსტრალიის კუინსლენდის შტატში დაიბადა და ცხოვრობდა. მას პიმში ერქვა და 1982 წლის ივნისში იგი 20,7 კგ. იწონიდა. კისერი 38,1სმ. წელი კი 81,3 სმ. სისქისა ჰქონდა.



## რეკორდების გინესის წიგნი

მომდევნო თავში, რომელიც ბუნების შესახებაა, დაფიქსირებულია, რომ ყველაზე დიდახანს-სამ საათს ცისარტყელა ჩრდილო უელსის ცაში ყოფილა გადარეკალული 1997 წლის 14 აგვისტოს. მეოთხე განყოფილება კოსმოსს ეხება და რაღა თქმა უნდა, იქ პირველ რიგში მსოფლიოში პირველი კოსმონავტი იური გაგარინი და დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის შემქმნელი სერგეი კოროლიოვი არიან წარმოდგენილი.

მომდევნო თავი მეცნიერების სამყაროს მიღწევებს გვატარებს. აქ შეგიძლია ამოვიკითხოთ, რომ ყველაზე პატარა გაბურღული ნახვრეტი ადამიანის თმაზე 100-ჯერ წერილია. ამ უხილავი ნახვრეტის შესახებ „ნეკო რიკელ კომპანიმ“ გააჩვენა 1977 წლის აგვისტოში ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი მიძღვნილ თავში ერთი ასეთი რეკორდც არის შეტანილი: ყველაზე ხმაბლადალი როკ-კონცერტი ლონდონის ერთ-ერთ სტადიონზე ჯგუფ „The Who“-ს გაუმართავ და აპარატურის იმპლავერ ამ კონცერტზე 76 ათასი ვატი ყოფილა. მომდევნო, მშენებლობისადმი მიძღვნილ განყოფილებაში წარმოდგენილია იაპონიაში, ქ. ტოკაიმაში 1980-81 წლის ზამთარში აკებული თოვლის ცი-

ხე-სიმაგრე, რომელიც 800 ადამიანმა ააგო 1800 ტონა თოვლისგან.

ტექნიკის განყოფილებაში წარმოდგენილია ყველაზე სწრაფი მოტოციკლი - „დუნსტოლ სტუჟი გა 1000სს“, რომლის სიჩქარეა 248,1კმ. სთ.

ზიზნესისა და სხვადასხვა ნივთებისადმი მიძღვნილ თავში შეტანილ რეკორდთა შორის ყველაზე ძვირფასი ნივთების შესახებც ამოიკითხავთ და ყველაზე მაღალი ფასების შესახებაც, თუმცა აქ სხვა საინტერესო მონაცემებიც არის წარმოდგენილი: ყველაზე ძველი ახანის კოლოფის ეტიკეტი 1830 წელს გაჩნდა, ხოლო ეტიკეტების ყველაზე მდიდარი კოლექცია - 280 ათასი ცალი აშშ-ს მკვიდრს, კოლექციონერ რობერტ ჯონსს აქვს.

ცალკე თავი აქვს დათმობილი ადამიანის შესაძლებლობებს. აქ სხვა რეკორდების გვერდით წარმოდგენილია რუსი კოსმონავტი ქალის ვალენტინა ტერეშკოვას მიერ დამყარებული რეკორდი - 1963 წლის 16 ივლისის კოსმორი სომალდ „ვოსტოკ-6“-ით ფრენისას მას 2815 კმ. სთ. სიჩქარით უმოძრავია.

მეთერთმეტე თავი პოლიტიკას, კანონებს ეძღვნება და ალბათ სწორედ აქ არის წარმოდგენილი ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი რეკორდი: ყველაზე ხანგრძლივ პატიმრობას იხდის აშშ-ს ალაბამის შტატის ქ. ტუსკალოოსის მოქალაქე დუდელი უენიი კიხური, რომელსაც ჩადენილი ადნაშაულების სერიისათვის 1981 წლის 4 დეკემბერს 10 000 წელი მიესაჯა !!!

ბოლო, სპორტისა და თამაშების განყოფილებაში, სხვათა შორის ასეთი ფაქტიც არის დაფიქსირებული: ამერიკელმა სტუდენტებმა ჯონ კარმა და რობერტ პასიტომ 50 საათისა და 4 წუთის განმავლობაში მუსევენულივით ითამაშეს მაგიდის ფეხბურთი.

# რა არის საპუთარი



## სტილი?

ვითომ მართლა ასე აუცილებელია „სიტყვასიტყვით“ მივდიოთ მოდას, ზედმიწევნით ზუსტად გადმოვიღოთ ჟურნალში მოცემული თუ ტელეეკრანზე ნაჩვენები ნიმუშები, უეჭველად გვქონდეს ისეთი მინი ქვედა კაბაა „მაკას რომ აცვია“, ისეთი ბლუზა, „ეკამ რომ იყიდა?“ მან, ვინც ბრმად, საკუთარი გარეგნული მონაცემების თუ შინაგანი თვისებების, ხასიათის გაუთვალისწინებლად მისდევს მოდას, შეიძლება სასაცილოდ გაიხადოს საქმე. ალბათ ბევრი გოგო-

ნა მოინდომებს „მინი“ ჩაცვას, მაგრამ ვაითუ არც ისე ლამაზი და მოყვანილი ფეხები გაქვთ, მაშინ ხომ „მინი“ კიდევ უფრო თვალში საცემს გახდის ამ თქვენს ნაკლს. არც ზურგზე მეტისმეტად ამოჭრილი ბლუზა თუ მაისური მოუხდება ყველას. თუ მხრებში მოხრილი გოგონები ზურგს მოიშიშვლებენ, ამით უფრო მეტად

გაუსვამენ ხაზს ამ უხეირო ჩვეულების შედეგად გამოკვეთილ ბეჭის ძვლებს... გემოვნებით ჩაცმას ერთბაშად ვერ ისწავლით, პირველ რიგში აუცილებელია საკუთარი სტილის მოძებნა. ჩვენ ყველანი ძალიან განსხვავებულები ვართ გარეგნობითაც, ხასიათითაც და ცხოვრების წესითაც. ეს ყველაფერი





უთუოდ უნდა აისახე-  
ბოდეს თქვენი ჩაცმის  
მანერაში. დაგვეთანხ-  
მებით, ძნელი წარმო-  
სადგენია, რომ სპორ-  
ტულმა ქალიშვილმა,  
რომელსაც ტურისტულ  
ლაშქრობები და  
მოგზაურობა უყვარს,  
ფუშფუშა, რომანტიკულ  
ი კაბა ჩაიცვას და  
არა შარვალი და ქუ-  
რთუკი, თუმცა ეს იმას  
როდი ნიშნავს, რომ  
მას საერთოდ არ უნდა  
პქონდეს კოსტა, ქალუ-

რი კაბა. მაგრამ იქნებ  
სპორტული სტილის  
ქვედა კაბაზე ან ჯინ-  
სებზე ლამაზი ბლუზა  
უფრო მოუხდეს? საე-  
რთოდ, ნუ შეგეშინდე-  
ბათ, უფრო თამამად!  
მრავალნაირი ვარიანტი  
სცადეთ - შეიძლება  
რომანტიკულ ბლუზას  
შარვალი შეუხამოთ, ან  
პირიქით, კაშკაშა ფე-  
რის ვოლანებიან ქვე-  
და კაბაზე მკაცრი ჯე-  
მპერი ჩაიცვათ. ცხადია,



ნებისმიერ შემთხვევაში  
თქვენი მთავარი მრჩე-  
ველი ისევ და ისევ სა-  
რკვე უნდა იყოს. სწო-  
რედ სარკვე გიკარნა-  
ხებთ, რა უფრო გიხ-  
დებათ - რომელი ფე-  
რი, პროპორციები, ფო-  
რმები. დღეს გთავა-  
ზობთ ახალგაზრდა მო-  
დელიერის ლულუ კა-  
ლანდაძის რამდენიმე  
მოდელს, რომლებიც  
უფროსკლასელი გოგო-  
ნებისთვის არის გან-  
კუთვნილი.



სამართველს გარბი

პირობითი, სიმბოლური გამოსახულება, რომელიც მინიჭებული აქვს სახელმწიფოს, ქალაქს, საგვარეულოს და ა.შ. - ასეა ახსნილი „გერბის“ მნიშვნელობა განმარტებით ლექსიკონში. ახლა ვნახოთ როგორ



სამართველს

განმარტავს ამ სიტყვას თავის „კალმასობაში“ იოანე ბატონიშვილი: „ღერბნი არიან ნიშანი ხარისხისა და პატივისანი, ნარმოდგენილნი ფერებითა და ნაკვეთებთაგან ფარსა ზედა ანუ



სამეფო კართიანის

გულსა ზედა ღერბისა განსხვავებისათვის გვართა ანუ შთამომავლობათა და საკუთრთა ადგილთა და ქვეყნიურობისათა“. შერალდიკა, მეცნიერება გე-

კანეთის



## ნიშანი საზისსისა და პატივისანი




ირაკლს

რების შესახებ, ამბობს, რომ პირველად გერბები ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში გაჩნდა და მათი დანიშნულება იყო დახმარებოდა თავით ფეხებამდე რკინის საჭურველში ჩამჯდარ მხედრებს შორიდანვე ეცნოთ ერთმანეთი. უთუ-



კართლის


ოდ ამიტომ გამოირჩეოდა იმდროინდელი გერბები უზარალოებითა და სიცხადით. მათზე უპირატესად პატრონთა ფიგურები იყო აღბეჭდილი. თითქმის იმავედროულად გაჩნდა გერბე-



ივერეთის

ბზე მითოლოგიიდან თუ ცხოველთა სამყაროდან აღებული ფიგურები - მარტორქა, ურჩხული, არწივი, ლომი, ჯიქი, დაოვი...

გერბები გამოისახებოდა



სამეცხე საბათაბაგოს



**აფილახვართს**

ნაწყლო, საგვარეულო გერბზედა. საკუთარი გერბები ჰქონდათ ქალაქებს, პროვინციებს, ამქრებს...

ფეოდალური ხანის პერალდიაში ყველაზე ხშირად არნივის და ლომის გამოსახულება გვხვდება. მერე და მერე ეპოქის სტილის, გემოვნების, მოთხოვნი-



**დაღინაზის**

ნებით გამორჩეული აბსოლუტიზმის ეპოქაში გერბები უკვე მოვრო, უაზრო, არაფრისმთქელი დეტალებით გადაიტვირთა. მერე რევოლუციების ხანა დადგა და მერალდიკამიც ახალი ფორმები, ახალი ფიგურები გაჩნდა, ასე იყო შემდგომშიც...




**აფხაზთა**



**ოღვის**

საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა საგერბო გამოსახულებები. ჩვენამდე მრავალმა სხვადასხვა ემბლემიანმა საბეჭდავმა მოაღწია, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას გიორგი მესამისეული წმინდა გიორგის გამოსახულებიანი სახელმწიფო ოქროს ბეჭდი იქცევს. საგერბო ნიშნებს დროშებზეც გამოსახავდნენ. საინტერესოა ვახტანგ მეექვსეს დროშაზე გამოსახული ბაგრატიონთა გერბის ემბლემები. თავ-თავის 'გერბები მქონდათ საქართველოს სამთავროებს, ქალაქებს, საგვარეულოებს. რაღა თქმა უნდა, არსებობდა ერთიანი საკართველოს სახელმწიფო ქრისტე



**ჭავჭავაძეთა**

ცენტრალური ადგილი ქრისტე კვართს უკავია ქართულ პერალდიკურ სიმბოლიკაში ქრისტეს კვართი იქნა და მნიშვნელოვან სიმბოლიკა ითვლებოდა, რომ მეფის ვარდა, მისი გერბზე გამოსახვილ უფლება მხოლოდ მუხრან იატონებს მქონდათ და სხვა არავის. კვართის გარშემო შემოკლებული წარწერა განმარტავს, რატომ ენიჭებოდა ქრისტეს კვართის გამოსახულებას განსაკუთრებუ-

ლი მნიშვნელობა.

ცენტრალური ფორმის ორ ლომს უყურია (სიმბოლიკის სიმბოლო). ფარის ზემოთ სამეფო გვირგვინი, გვირგვინის ქვეშ კი გადაჯვარედინებული ხმლები და სკიპტრა (საერო და სამხედრო ძალაუფლების სიმბოლოები). გერბზე გამოსახული კიდევ ერთი სიმბოლო: მესამე მთა და მისეული შურული იმაზე მიანიშნებს, რომ



**ორაბლიანთა**



**სამანთა**

ბაგრატიონები ბიბლიური დავითის შთამომავლები არიან. გთავაზობთ შუა საუკუნეების ქართული სამეფო-სამთავროების, აგრეთვე ცალკეულ საგვარეულოთა გერბებს.



**გურიის**



# ბარბი, სინდი და სსშმები

ადამიანთა მსგავსი თოჯინები უსსოვარი დროიდან უკეთებიან. ამაზე თუნდაც ის პატარა ქანდაკებები მეტყველებს, ძველ სამარხებში ჩაყოლებულ ნივთებს შორის, ჭურჭლისა თუ სხვა საგნების მოხატულობაში რომ გვხვდება. თავდაპირველად მათ მხოლოდ საკულტო ფუნქცია ევალებოდათ. ზოგ მათგანს მაგიური ნეს-ჩვეულების აღსასრულებლად იყენებდნენ, თაყვანისცემის ობიექტად, ღვთაებად სახავდნენ, სხვებს წმინდა სამეურნეო მიზნით ქმნიდნენ. კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე იცვლებოდა, ვითარდებოდა და იხვეწებოდა ყოფაც, ნეს-ჩვეულებებიც, რელიგიური აზროვნებაც. შეზამისადა იცვლებოდა თოჯინების ფუნქცია, თანდათან იკვეთებოდა მისი ანიმდელი დანიშნულება. საკულტო თოჯინა გასართობ დედოფალად, სათამაშოდ იქცა. უძველესი დროის ხის თუ თიხის კერპებმა ფუნქციასთან ერთად სახეც იცვალეს - დამშვენდნენ, დაიხვეწნენ, გამრავალფეროვდნენ...

არ არსებობს დღეს დედამიწის ზურგზე კუთხე, სა-

დაც თოჯინა, დედოფალა გოგონების უსაყვარლესი სათამაშო არ იყოს. დაწყებული 2-3 წლიდან, ლამის 12-13 წლამდე გოგონები თავს ევლებიან „შვილს“ - ელაპარაკებიან, ეფერებიან, ტუქსავენ, აჭმევენ, ასმევენ, აცმევენ, აბანავენ, მკურნალობენ. სამწუხაროდ, ჩვენში ვერა და ვერ მოხერხდა სათამაშოების წარმოების აწყობა, თუნდაც ეროვნული დედოფალების შექმნა. არადა, საამისო ტრადიციები საქართველოში ნამდვილად არსებობს.

ძველ საქართველოში დედოფალას, თოჯინას, ტიკინას, კუკის დასამზადებლად უპირატესად ბუნებრივ მასალას იყენებდნენ: ხის ფოთოლს, მიწისფერ ყვავილს, სიმინდის ტაროსა და ფუჩეჩს, ორკაპ ჯოხს, თუმცა ქსოვილს, მატყლს, ლილსაც უთუოდ ხმარობდნენ. ცხადია, ვერც მატყლით თავამოვსებული ჩითოსკაბიანი კახელი „რუსუდანი“ შე-

ედრება დღევანდელ ბრწყინვალე უცხოურ თოჯინებს, და ვერც ხისგან გამოჩინოვანი გუდამაყრელი „ძიძიქალა“, მაგრამ ჩვენს დიდებს თუ იმათ დიდებს ბავშვობაში მათზე მშვენიერი ქვეყნად არავინ და არაფერი ეგულებოდათ და მათი ერთადერთი სათამაშოც ეს პრიმიტიული დედოფალა იყო, დღეს რომ უნებურად ღიმილს გვგვრის. ხის თოჯინების დამზადება პირველად ინგლისში დაუწყიათ, აქვე აუთვისებთ ათ პირვე-





ლად დედოფალების სანთლის თავების კეთება. ესპანეთში თიხის, მუყაოს, თაბაშირის გამოყენებით ამზადებდნენ ლამაზ-ლამაზ დედოფალებს. გერმანიაშიც მოინდომა მოდაში შემოსული სათამაშოს სერიული წარმოების დაშკვიდრება, მაგრამ იქაური „მზეთუნახავებს“ კიდევ კარგა ხანს ჩრდილავდნენ ინგლისელი და ფრანგი ექსპლუცი „ლამაზმანები“. გასული საუკუნის 20-იან წლებში კი ოსტატ ფრიდრიჰ მილერის მიერ მიგნებულმა ხერხმა მთელ რევოლუცია მოახდინა თოჯინების წარმოებაში და გერმანულმა თოჯინებმა კარგა ხნით დაჯანბნეს სხვები. გამოხდა ხანი და თოჯინების ცენტრად კვლავ ინგლისი იქცა, მაგრამ მცირე ხნით. ამ საქმეში კანონმდებელი ამერიკა გახდა. თოჯინების წარმოება ამ არნახული მასშტაბი ჰპოვა. თავად წარმოებამ კონვეიერული ხასიათი მიიღო: ერთ ხაზზე რომ თვალებს ამზადებდნენ, მეორე თემების დამზადებით იყო დაკავებუ-

ლი, მესამეს სხეული უნდა აფიქრებინა სინდის მწარე გაცეცთებინა, მეოთხეს - ტანსაცმელი და ა.შ. მერე თოჯინა ბარბიცი დაიბადა, და ამ ამერიკულმა სუპერდედოფალამ, შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიო დაიპყრო. ნაირ-ნაირად ჩაცმულ-დახურული, სპეციალური მზითვითა და დგამავეჯით, ლოსიონ-სუნამოებით აღჭურვილი ბარბი თითოეული გოგონას სანუკვარი სათამაშო გახდა. ცხადია, მან ჩვენამდეც ჩამოაღწია, ჩამოაღწია და ყველა სხვა თოჯინას ბინის შორეულ კუთხეში მიუჩინა ადგილი. მათი ბედნიერი მფლობელები თავს იწონებენ საკუთარი ბარბის ვა-



რცხნილობით, მდიდარი გარდერობითა და პარფიუმერიით. ზოგს რამდენიმე სახის ბარბის გარდა ასეთივე მომხიბვლელი სინდიცი ჰყავს. თუმცა ეს უკანასკნელი არც სილამაზით ჩამორჩება თავის უფროს დას, ხოლო სიმდიდრით მასზე უფრო მდიდარიც კია, გოგონები უპირატესობას მაინც ბარბის ანიჭებენ. ამ გარემოებამ და კიდევ ერთი მეტოქის იაპონელი „რიკას“ პოპულარობამ

აფიქრებინა სინდის მწარე მოვლემს, რომ თუ კონკურენტების დამარცხება უნდა დოდათ, სხვა რამ უნდა მოუქმდებინათ და აი შარშან პირველად გამოჩნდა ყველაზე პოპულარული ტოპ-მოდელების კალაღია შიფერისა და ნაომი კემპბელის საბინაი თოჯინები, ახლახან კი ამ ბრწყინვალე საზოგადოებას კარენ მიულდერიც შეუერთდა. ასეთ შესანიშნავ თოჯინებს მზითევიც საუცხოო ახლავთ - მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მოდელიერების მიერ შექმნილი ტულეტები, დიდებული სუნამოები და სამკაულები. მოდაში შემოვიდა თოჯინის ერთადერთი ცალის დამზადება. სულ უფრო ხშირია შემთხვევები, როცა ვიღაც თავისი საყვარელი ქალის ორეულს უკვეთავს და იმავდროულად მის გამეორებას კრძალავს...

ცხადია, ცუდი არაფერია იმაში, რომ ჩვენს გოგონებს ასეთი ლამაზი უცხოური თოჯინები აქვთ, მაგრამ, ალბათ, უკეთესი იქნებოდა ბარბისა და სინდისთვის ჩვენებურ, თამარს თუ ქეთევანს, ეკას თუ თამთასაც დაემშვენებინათ მხარი...



# კითხვა - თქვენი

*მართალია, რომ ბუ დღისით ვერ ხედავს?*

*ლამარა ლობჯანიძე, ლაგოდეხი*

ხედავს რომელია! ბუ, მზისკენაც რომ იხედებოდეს, მშვენივრად დაინახავს შორს, შორს ციცქნა ფრინველსაც კი. ბუს შეუძლია დიდხანს თვალის დაუხამხამებლად უყუროს ელექტრონათურას ან მოკრიალებულ ცას. ჩვენ კი მაშინვე თვალები აგვიც-

მიასტერდეს და კარგა ხანს არ მოაცილოს თვალი: ხოლო გაფართოებული უზარმაზარი თვალის გუგები დამეული ნადირობისას ეხმარება მას. ბუსთვის სუსტი სანთლის შუქიც კმარა იმისათვის, რათა სანთლისგან ნახევარი კილომეტრის მანძილზე გაცუნცულებულ თავს მოკრას თვალი. მაგრამ ბუს მხედველობას საუცხოო მაინც არ ეთქმის. ბუს თვალები მხოლოდ პირდაპირ იმზირება. სხვა ჩიტებივით გვერდით გახედვა ბუს არ

შეუძლია. ისე რომ საფრთხეს, რომელიც უკნიდან ემუქრება, იგი მხოლოდ სმენით აღიქვამს, ხოლო თუ მას უნდა ზიგზაგით მოძრავ ადამიანს ან სხვა სულდგმულს გაადვენოს თვალი, ბუმ თავი უნდა ატრიანლოს. თავის ტრიალი კი იცოცხლეთ, ეხერხება, თითქმის სრული წრე შეუძლია შემოხაზოს.



რემლდება და აგვტიკვდება. თვალის გუგები ბუს ძალიან უფართოვდება და ასევე ძალიან უფინროვდება. დავინროებული, თითქმის წერტილად ქცეული თვალის გუგების წყალობით ბუს შეუძლია მზეს

*ერთნაირი დროშები აქვთ. რატომ არის ასე?*

*გუჯა ბერძენიშვილი, ქ. ოზურგეთი*

ნამდვილად ასეა - აღმოსავლური სახელმწიფოს ინდონეზიის წითელი - თეთრი დროშა, მართლაც ჰგავს ევროპული სამთავროს მონაკოს დროშას. მაგრამ ეს უბრალო დამთხვევაა. ორივე დროშის კალთა ორ ტოლ ნაწილად არის გაყოფილი: ზედა წითელია, ქვედა - თეთრი. მონაკოს დროშა მონაკოელი მთავრების, გრimalდეების საგვარეულო ფერებს ინარჩუნებს. ინდონეზიაში კი წითელსა და თეთრ ფერებს ოდითგანვე სცემენ პატივს. წითელი ფერი - სიმამაცისა და შეუპოვრობის სიმბოლოა, თეთრი - კეთილშობილებისა. ფერების არჩევანი ძირითადად საღებავების მიღების სირთულესიადვილზე იყო დამოკიდებული. თეთრი ბამბის ბუნებრივი ფერია, ალისფერი საღებავი კი ერთ-ერთი უძველესთაგანია. მაშინ იგი ზღვის მოლუსკებისგან მზადდებოდა. ასე ხსნიან ინდონეზიელი მეცნიერები თავისი სახელმწიფოს დროშის ფერების წარმომავლობას.

*მე და ჩემმა ამხანაგმა ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ინდონეზიასა და მონაკოს*

# პასუხი - ჩვენი

# ნახატებიანი ვიქტორინა

საქართველო  
1902-1919



დ'არტიანისა და მისი მეგობრების დევიზი იყო:.....

არა ერთი ზღაპარი დაწერეს ბატომ სოიერის დეიდას ..... ერქვა



ვშეებისთვის ძმებმა გრიშებმა. მათ გან უფროს ძმას.....ერქვა, უმცაროსს კი.....



ეს წყალქვეშა ნავი „ნაუტილუსია“, მისი კაპიტანი კი ..... იყო



საბავშვო წიგნისათვის „ნილს ჰოლგერსონის არაჩვეულებრივი მოგზაურობა შვეციაში“ შეედმა მწერალმა ქალმა სელმა ლაგერლოფმა 1909 წელს ..... პრემია მიიღო



ბაქია ტარტარენ ტარასკონელი ფრანგი მწერლის..... ტრილოგიის გმირია.



„გულივერის მოგზაურობის“ ავტორია ინგლისელი მწერალი .....



# განმარტებელი





ვიდრე ვაზნაში ჩადულებულ-ჩამწვარ ნათურას ამოხრახნიდე, ქვემოდან პოლიეთილენის პარკი ამოაცვი. შეიძლება ზედმეტი ძალდატანებისგან ნათურა გატყდეს და მაშინ ნამსვრევები პარკში ჩაცვივა და სახესა და თვალებს აღარ დაგიზიანებს.



ბოქლომში წვიმა რომ არ ჩავიდეს და არ დაჟანგოს, ზემოდან ასეთი რეზინის საფარო გაუკეთე.

ფანქრის წვერი სამართებლის ყუით უფრო კარგად წაითლება, ვიდრე ალესილი პირით.



კბილის სახეხი პასტის ან სხვა ცარიელ ტუბოს ნუ გადააგდებ, მისი თავი შეიძლება პატარა ყუთის, უჯრის, კარადის ან სხვა ნივთის სახელურად გამოდგეს. ტუბო ისე გადაჭერი, რომ ლითონის ყელი ტანს კი არა, თავს გაჰყვეს. ტუბოს თავი სახელურად რომ გამოდგეს, ამისათვის მისი ლითონის ყელი რამდენიმე ადგილზე გახვრიტე და ამ ნახვრეტებით მიახრახნე საჭირო ადგილზე.

ზეთის საღებავით განებილი ფუნჯი ჯერ ჩანგლით უნდა განმინდო, დაჩეჩო. სხვანაირად საღებავს ვერც ნავთით მოაცილებ და ვერც საპნით.

# ვინ რა გამოიგონა

## ორი ბორბალი, პედალი, საჭე და მუტი პრაფერი

ყველას გაგიგონიათ გამოთქმა: „ველოსიპედის გამოგონება“, რომელსაც მაშინ ვმართობთ, როცა გვინდა ვთქვათ: ნეტავ, კიდევ რისი გამოგონება შეიძლება, ეს ხომ მარტივი და უბრალო მანქანაა, ვერც ვერაფერს მოაკლებ და ვერც ვერაფერს მიუმატებო? გამოთქმა კი ყველამ იცის, უცნობი ის არის, თუ როდის გაჩნდა იგი. ვინ იცის, იქნებ სულაც ველოსიპედთან ერთად? სადაც XIX საუკუნის დამდეგს. ააგო ბარონმა დრენზმა რაღაც უცნაური ეკიპაჟი - ორი ბორბალი გადააჯდა ზედა და ფეხების ბიჭებში ადგილიდან მოწყდა. ძალიან ცოტა ხანს ისეირნა ბარონმა, სიჭაგაცლილი მიხვდა, რომ ასეთი ეკიპაჟი ძალიან მაგარ ფეხებსა და უდიდეს გამძლეობას მოითხოვდა და ხელი აიღო სეირნობებზე. თითქოს ველოსიპედს დაკინწყებას უნდა მისცემოდა (ნუ გამოიგონებთ!) მაგრამ... კაცობრიობა, რომ იტყვიან, ჩააფრინდა ამ „თვითმობრენალ ეტლს“ და ჯიუტად გააგრძელა მისი გამოგონება. 27 წლის შემდეგ ვილცამ წინა ბორბალზე პედლები მიამაგრა. გამოხდა ხუთი წელი და კიდევ ვილცამ მუხრუჭი მოარგო, კიდევ 20 წლის შემდეგ ბორბლებს რეზინი „ჩააცვეს“, თუმცა, ველოსიპედს კვლავაც „ქვლების მწვლრეველს“ უწოდებდნენ. კიდევ ხუთი წლის შემდეგ მძიმე ბორბლები საგრძობლად გაამსუბუქეს, თუმცა კი გაადიდეს. ეს პედლების ტრიალის სისხირის შესამცირებლად გახდა საჭირო. კიდევ 80 წელი მოუნდა ველოსიპედის ჯაჭვური გადაცემით აღჭურვას! ე.ი. გამოდის, რომ ამ ყველაზე მარტივი (თუ აფორიზმს დავეყრებთ) მანქანის ნამეილად გამოგონებას თითქმის საუკუნე დასჭირდა...

მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რომ ველოსიპედის გამოგონება დღესაც გრძელდება...



შედი წლის მოცარტი კონცერტს მართავდა მარის ფრანკ ფურტში. მას ასე, თოხმბეტი წლის ბიჭი მიუახლოვდა და უხორა:  
 - რა შესანიშნავად უკრავ! მე ასე ვერასდროს შევძლებ. - რატომ? - არ დაეთანხმა მოცარტი. - სცადე და თუ არ გამოგივა, ნოტების წერა დაიწყე.

# სიცხლის ბაკვეთილი

ლად. ეტყობა, მართლა რაღაც ღირებული ყოფილა ეს კარტოფილი, - გადანწყიტეს მისმა მეზობლებმა და მომავალ წელს მთელმა სოფელმა დათესა იგი.



- სად ცხოვრობ, მისამართი თუ იცი?  
 - ციცი, უნივერსიტეტის ქუჩა, რვა ნომერი, მეზონინი.  
 - აა, მაშ ჩემი შვილი ყოფილხარ! ნამოდი, დედასთან მიგიყვანო - დაამშვიდა მეცნიერმა ბავშვი.



- მე კი ვწერ... ლექსებს ვწერ...  
 - ეგვეტ საინტერესოა. ალბათ კარგი ლექსების წერა უფრო ძნელია, ვიდრე მუსიკის შეთხზვა.  
 - რას ამბობ! იცი, რა ადვილია, სცადე და თვითონ ნახავ! მოცარტის თანამოსაუბრე გოეთე იყო.



ერთხელ ნიუტონმა მეგობარი სადილად დაპატივა თავისთან, მაგრამ მუშაობაში ჩაფულუს სულ გადადევინდა ეს ამბავი. სტუმარმა, ან დარწმუნდა, რომ ნიუტონი მუშაობდა და მისთვის არ ეცალა, მარტომ ისაღილა, მადლობა გადაუხადა ლაქისა და უჩუ-

მექსიკაში სახეგრების პატრონები ისევე აბარებენ გამოცდებს, როგორც ავტომანქანების მშობელები. საგზაო მოძრაობის წესების ცოდნის დამადასტურებელი მოწმობის მისაღებად აუცილებელია ოთხი ფოტოსურათის წარდგენა: ორი პატრონისა და ორიც სახეგრისა.

სახელგანთქმულ ფიზიკოსს ეწერო ფერმის იტალიის მეცნიერებათა აკადემიაში მოსვენება უნდა ნაეკითხა. აკადემიის შესასვლელით იგი მცველებმა გააჩერეს. - ვინ ბრძანდებით? - ჰკითხა კარაბინერმა.

- აკადემიკოსი.  
 - მანტიის გარეშე აკადემიაში შესვლა არ შეიძლება!  
 - გეხუმრეთ - მე აკადემიკოსის მძლოლი ვარ.  
 - ჰო, ეგ სხვა საქმეა...  
 ფერმი აკადემიაში შეუშვებს და მან ბრწყინვალე მოსვენება წაიკითხა.




კარტოფილი უკვე მთელ ევროპაში გავრცელდა. მარტო ფრანგები უარყოფდნენ მას ჯიუტად და არაფრად აგდებდნენ. იცოდა რა იმ კულტურის სიკეთე, აგრონომმა პარმანტიმ გადაწყვიტა ასეთი გზით დაეინტერესებინა თანამემამულეები. კარტოფილის ნათესს საპარადო ფორმაში გამოწყობილ ჯარისკაცთა ოცეული დაუყენა მცვე-



მრად წავიდა.  
 - უცნაურია, - ჩიალაპარაკა ცოტა ხნის შემდეგ მეცნიერმა ცარიელი თევზების დანახვაზე.  
 - ნეტავ, როდის მოვასწარი ჭამა? და კვლავ კაბინეტში დაბრუნდა.

საზოგადოდ გულმაეინყი და დაბნეული პროფესორი კრაი, ვალებით, მრავალრიცხოვან ოჯახზე ზრუნვითა და მეცნიერებაში ხელმოცარულობით შეწუხებული მი-აბიჯებდა ქუჩაში. წინ ატირებულ ბიჭუნა შემოხვდა  
 - რაშია საქმე, რა გატირებ?- გულა უაჩუყდა მის ღატრებაზე პროფესორს.  
 - გზა აებნა... სახლში მინდა... - სლუპუნით მიუგო ეტარამ.



რომანის „ყოჩაღი ჯარისკაცი შევიკის“ ავტორმა იაროსლავ პაშევმა მიონრომა, შეემონებინა მოენონა თუ არა მკითხველს მისი ახალი ნაწარმოები. ტრაქტირში შე-



ვიდა და სასხვათაშორისოდ ჩიალაპარაკა: - ვილად პაშევს ვილად ილიკოვ ჯარისკაცზე წიანი დაუწერია, რომ იცოდე, რა აბაღუბდა?!  
 - რაო?! - აღშფოთდნენ ტრაქტირში მყოფნი, რომლებსაც უკვე მოუსწროთ შევიკის შეყვარება, სტაცეს ხელი მწერალს და გარეთ გამოაგდეს.

# მოსწონხარ თუ არა ადამიანებს?



ამ კითხვაზე პასუხის მიხედვით თითოეულმა თქვენგანმა უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ტესტში მოცემული ყოველი მოსაზრებისადმი. თანხმობის შემთხვევაში თითოეული პუნქტის განსწვრივ პლუსი „+“ დაუწერე, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში - მინუსი „-“

1. მე უნდა მახსოვდეს, რომ მთელი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ მფასებენ ისინი, ვისთანაც ვარ ხოლმე, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს.

2. ადამიანს საკმაოდ განვითარებული უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლობის გრძნობა, იმისათვის, რათა მეგობრებთან თავისი ჰობის შესახებ ილაპარაკოს, მიუხედავად იმისა, იზიარებენ თუ არა ისინი მის გატაცებას.

3. ყველაზე ჭკვიანური მაშინაც შეგეძლოს ღირსების შენარჩუნება, როცა ეს შეუძლებელი ჩანს.

4. თუ ადამიანი სხვის მეტყველებაში შეცდომებს ამჩნევს, აუცილებლად უნდა გაუსწოროს.

5. იმისათვის, რომ უცნობ ადამიანზე შთაბეჭდილება მოახდინო, ენაშაყვილი, მიზიდველი და ხალისიანი უნდა იყო.

6. თუ სხვა ადამიანი გაგაცნეს, შენ კი მისი სახელი ვერ გაიგონე, უნდა ჩაეკითხო.

7. დარწმუნებული ხარ, რომ იმიტომ გცემენ პატივს, რომ სხვებს შენი დაცინვის, გამახსარავენის ნებას არ აძლევს.

8. სულ ფრთხილად უნდა

იცყო, რათა სხვებმა არ დაგცინონ.

9. თუ გონებამახვილ, ბრწყინვალე ადამიანთან გაქვს ურთიერთობა, უმჯობესია, არ გაეჯიბრო. ასეთს პატივი უნდა მიაგო და ლაპარაკს გამოეთიშო.

10. ადამიანი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ მისი საქციელი შეესატყვისებოდეს იმ საზოგადოების განწყობილებას, რომელშიც იგი იმყოფება.

11. ყოველთვის უნდა ეხმარებოდე მეგობრებს, იმიტომ რომ შეიძლება დადგეს დრო, როცა შენ ძალიან დაგჭირდება მათი დახმარება.

12. მაინცდამაინც ხშირად ნუ გაუწევ სამსახურს სხვებს, იმიტომ რომ საბოლოო ჯამში ცოტა ვინმე თუ დაგიფასებს ღირსეულად.

13. უმჯობესია, სხვები იყვნენ შენზე დამოკიდებული, ვიდრე შენ - სხვებზე.

14. ნამდვილი მეგობარი ყოველთვის ეხმარება მეგობრებს.

15. ადამიანი საზგასმით უნდა წარმოაჩენდეს თავის საუკეთესო თვისებებს, რათა სხვებმა მისი ღირსეულად დაფასება შეძლონ.

16. თუ საზოგადოებაში ყვებიან ანეკდოტს, რომელიც შენ მოსმენილი გაქვს, უნდა შეაწყვეტინო.

17. თუ საზოგადოებაში ყვებიან, ანეკდოტს, რომელიც შენ მოსმენილი გაქვს, იმდენი ზრდილობა უნდა გამოიჩინო, რომ გულიანად გაიცინო.

18. თუ მეგობართან დაგპატიჟებს, შენ კი კინოში ან სხვაგან წასვლა გირჩეიანა,

უნდა თქვა, რომ თავი უტყვიკა ან სხვა ახსნა უნდა მომიზნეზო, ხოლო ნამდვილი მიზეზი უნდა დამალო.

19. ნამდვილი მეგობარი მოითხოვს, რომ მისი მეგობრები ყოველთვის მისთვის სასიკეთოდ უნდა იქცეოდნენ.

20. ადამიანი ჯიუტად და დაჟინებით არ უნდა იცავდეს თავის შეხედულებებს, მაშინაც კი თუ ვინმე სანიწაღმდეგო აზრისაა.

ახლა კი ქულები დააჯამე. ყოველი სწორი პასუხისთვის 5 ქულა დაინერე. სწორი, პლუსიანი პასუხები: 6, 13, 14, 20,

მინუსით ფასდება 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11, 12, 15, 16, 17, 18, 19 პასუხები.

დააჯამე ყველა სწორი პასუხისთვის მიღებული ქულა. 85=100 ქულა - შესანიშნავი შედეგია და ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან ბევრს უყვარხარ. 75-85 ქულა - კარგი შედეგია და მაშასადამე, ურთიერთობაში სასიამოვნო, მომხიბვლელი და სიმპათიური ხარ, თუმცა ზოგჯერ გეშლება ხოლმე. 60-75 ქულა დამაკმაყოფილებელი შედეგია და იმაზე მეტყველებს, რომ სხვებთან ურთიერთობაში საკუთარ ღირსებას კი ინარჩუნებ, მაგრამ თანამოსაუბრის ღირსებისა, რა მოგახსენოთ. 0-60 ქულა აშკარად ცუდი შედეგია, ერთ საქებად სიტყვასაც კი არ იმსახურებ. მაგრამ ყველაფერი წინ გაქვს, შენ ჯერ კიდევ შეგიძლია ადამიანებთან ურთიერთობა ისწავლო.

# „მის საქართველო“ 97





თბილისში გამართული სილამაზის კონკურსის საწეისი ეტაპისთვის 32 მომსიბუღელი ასული შეიწინა, მერე და მერე მათი რაოდენობა თანდათან მცირდება და ბოლო დასკვნით ტურში მონაწილეობისთვის მკაცრმა და ზირუთვნელმა ჟიურიმ შვიდი მათგანი დაუშვა. მათგან ულამაზესად კი თამუნა მამულაშვილი იქნა აღიარებული. გამარჯვებულის გვირგვინი თამარს „მის ევროპა-96-მა“ დაადგა 1997 წლის საქართველოს სილამაზის დედოფალი 16 წლისაა. დაიბადა და გაიზარდა გურჯაანში, დღესაც იქ ცხოვრობს და სწავლობს.



# იწილთ — ბიწილთ

საერთაშორისო  
ბავშვთა

დააკვირდით - რვა კლოუნიდან ორი აბსოლუტურად ერთნაირად არის ჩაცმული. იპოვეთ ისინი.




თუ ყურადღებიანი ხართ, ამ ორ ნახატს შორის 30-მდე სხვაობას აღმოაჩენთ.

## კროსვორდი

თარგმნა 2. ამერიკის შტატი. 4. ძველად ფრანგული ხურდა ფული. 5. გარკვეული ნაწილი. 8. ვისიმე ცხოვერების და მოღვაწეობის აღწერა. 11. უღაბნოს ცხოველი. 12. სამშობლოს მონატრება. 14. ესანელი მხატვარი. 17. გამარჯვების ქალღმერთი პერსიულ მითოლოგიაში. 18. ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი. 20. ნაშლის ბურთულა. 21. მთავარი სისხლძარღვი. 23. ქალაქი იაპონიაში. 24. იტალიის საფეხბურთო კლუბი. 25. ესპანელი მხატვარი. 26. პირობითი ნიშნითა სისტემა საიდუმლო წერილობისთვის. 29. სათევზაო საშუალება. 31. რას უწოდებდნენ არგონავტები კოლხეთს. 32. ნიგერის დედაქალაქი. 34. საყრობილე. 36. სატურნის თანამგზავრი. 37. ეგვიპტის დედაქალაქი. 38. შტატი ამერიკაში.

შეუთქმა: 1. ქალაქი ვირჯინიის შტატში. 3. ცნობილი მოკრივე. 6. სპორტული შეჯიბრების შედეგი, როდესაც არც ერთი მხარე არ არის გამარჯვებული. 7. სახელმწიფო აფრიკაში. 8. ოპტიკური ხელსაწყო. 9. მუსიკალური საკრავი. 19. ადგილობრივი მკვიდრი, ძველისძველი მოსახლე. 22. კილინი ხორბალი. 24. ზღვის დიდი ცხოველი. 27. დედამისი ცხენი. 28. პატარა მაგალობელი ფრინველი. 29. ხილი. 30. ჩაროზი. 33. გონებასხვილური მოკლე გამონათქვამი. 35. ერთნოვანი კულტურული მცენარე.

შეადგინა ალექსი ნათელაშვილმა



# რობერტა ფლაკი

რობერტა ფლაკი  
(Flack Roberta).

ამერიკელი მომღერალი, პიანისტი, კომპოზიტორი. დაიბადა 1939 წლის 10 თებერვალს. დედა ეკლესიაში უკრავდა ორღანზე, მამა კი ჯაზ-ორკესტრის წევრი იყო. ცხრა წლის რობერტამ ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლა დაიწყო, ხოლო თერთმეტი წლისამ ვაშინგტონის კონსერვატორიაში ჩააბარა გამოცდები. კონსერვატორიის შემდეგ მუსიკალურ სკოლებში მასწავლებლობდა,

მაშინვე სცადა პირველად თავი ვოკალში. 1968 წელს ფირმა „ეტლენტიკმა“ ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა მომღერალს, ერთი წლის შემდეგ კი შედგა რობერტა ფლაკის დებიუტი. ბლიუზის მოყვარულებმა მაღალი შეფასება მისცეს მის ალბომს „პირველი ცდა“. მეორე ფირფიტის წარმატება ევროპაში გასტროლებს დაემთხვა. ამ გასტროლებმაც დიდი აღიარება მოუტანა მუსიკოსს, იგი ბლიუზის ამომავალ ვარსკვლავად მონათლეს. შემდგომმა კარიერამ პროგნოზის სამარ-

თლიანობა მთლიანად დაადასტურა, მაგრამ მსოფლიო აღიარებას რობერტამ მაშინ მიაღწია, როცა სოულის სტილში ნატიფად არანჟირებული კომპოზიციების შესრულება დაიწყო. რობერტა ფლაკის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კინემატოგრაფს: მისი სიმღერები ჟღერს ფილმებში „ნათლიმამა“, „25 დეკემბერი“ და სხვ. მერე და მერე მუსიკოსის შემოქმედებას კლასიკური მუსიკის, ჯაზის ზეგავლენა დაეცყო.

## ROBERTA FLACK

